პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО И ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

შაბათი
2 ნოემბერი
1940 წ.
№ 256 (5957)
ფასი 10 კაპ.

ბრძანებულება

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

ბურიატ - მონღოლეთის სახელმწიფო მუსიკალურ-დრამატიული თეატრის ლენინის ორდენით დაჯილდოების შესახებ

ბურიატ-მონღოლური მუსიკალურ - დრამატიული ხელოვნების განვითარების საქმეში თვალსაჩინო წარმატებისათვის დაჯილდოებულ იქნას ბურიატ-მონღოლეთის სახელმწიფო მუსიკალურ-დრამატიული თეატრი ლენინის ორდენით.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე
მ. კალინინი

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი
ა. გორკინი

მოსკოვი, კრემლი. 1940 წლის 31 ოქტომბერი.

ბრძანებულება

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

ბურიატ - მონღოლეთის ასსრ სახალხო არტისტის გ. ც. ციდენჟაპოვისათვის სსრ კავშირის სახალხო არტისტის სახელწოდების მინიჭების შესახებ

თეატრალური და მუსიკალური კულტურის განვითარებაში თვალსაჩინო დამსახურებისათვის მიენიჭოს **სსრ კავშირის სახალხო არტისტის** სახელწოდება ბურიატ-მონღოლეთის ასსრ სახალხო არტისტს, ბურიატ-მონღოლეთის მუსიკალურ-დრამატიული თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელს გომბო ციდენჟაპის-ძე **ციდენჟაპოვს.**

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე
მ. კალინინი

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი
ა. გორკინი

მოსკოვი, კრემლი. 1940 წლის 31 ოქტომბერი.

ბრძანებულება

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

საქართველოს სსრ სახელმწიფო კონტროლის სახალხო კომისარიატის შექმნის შესახებ

„სსრ კავშირის სახელმწიფო კონტროლის სახალხო კომისარიატის შექმნის შესახებ" სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1940 წ. 6 სექტემბრის ბრძანებულების შესაბამისად საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

1. იმ მიზნით, რომ დაწესდეს სახელმწიფო ფულადი სახსრებისა და მატერიალური ფასეულობის აღრიცხვისა და ხარჯვის უმტკიცესი კონტროლი და განხორციელდეს მთავრობის გადაწყვეტილებათა შესრულების შემოწმება, შეიქმნას საქართველოს სსრ სახელმწიფო კონტროლის სახალხო კომისარიატი.

2. საქართველოს სსრ სახელმწიფო კონტროლის სახალხო კომისარიატი არის საკავშირო-რესპუბლიკური სახალხო კომისარიატი და ახორციელებს:

ა) სახელმწიფო, კოოპერაციულ და სხვა საზოგადოებრივ ორგანიზაციათა, დაწესებულებათა და საწარმოთა განკარგულებაში მყოფ სახელმწიფო ფულადი სახსრებისა და მატერიალური ფასეულობის აღრიცხვისა და ხარჯვის კონტროლს;

ბ) მთავრობის გადაწყვეტილებათა შესრულების შემოწმებას.

3. დაევალოს საქართველოს სსრ სახელმწიფო კონტროლის სახალხო კომისარიატს:

ა) 1-ლ მუხლში აღნიშნულ სახელმწიფო სახსრებისა და მატერიალური ფასეულობის აღრიცხვისა, შენახვისა და ხარჯვის ყოველდღიური, როგორც წინასწარი, ისე შემდგომი კონტროლი;

ბ) სახელმწიფო რევიზიების გაწევა სსრ კავშირის სახელმწიფო კონტროლის სახალხო კომისრისა ან საქართველოს სსრ სახელმწიფო კონტროლის სახალხო კომისრის მითითებათა თანახმად;

გ) მთავრობის დადგენილებათა და განკარგულებათა შესრულების შემოწმება.

4. საქართველოს სსრ სახელმწიფო კონტროლის სახალხო კომისარიატს ეძლევა უფლება:

ა) მისცეს ყველა სახალხო კომისარიატს, საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებული მთავარი სამმართველოებისა და კომიტეტებისათვის და მათი ადგილობრივი ორგანოებისათვის, აგრეთვე ყველა სხვა სახელმწიფო, კოოპერაციული და საზოგადოებრივი საწარმოებისა, დაწესებულებებისა და ორგანიზაციებისათვის სავალდებულო მითითებანი სახელმწიფო კონტროლის კომპეტენციაში შემავალ საკითხებზე ანგარიშების, ახსნა-განმარტებებისა, ცნობებისა და სხვა მასალების წარმოდგენის შესახებ;

ბ) კონტროლისა და რევიზიების პროცესში სახელმწიფო სახსრებისა და მატერიალური ფასეულობის აღრიცხვასა, შენახვასა და ხარჯვაში აღმოჩენილი ყველა ნაკლი, აგრეთვე მთავრობის გადაწყვეტილებათა შეუსრულებლობის ფაქტები აცნობოს რევიზიაგაწეულ დაწესებულებათა, ორგანიზაციათა და საწარმოთა სათანადო ხელმძღვანელებს და მისცეს მათ სავალდებულო მითითებანი;

გ) მთავრობის გადაწყვეტილებათა შეუსრულებლობაში, აგრეთვე ფულადი და მატერიალური ფასეულობის აღრიცხვის ჩამორჩენილობასა და უყაირათოდ ხარჯვაში დამნაშავე პირებს დაადოს დისციპლინური სასჯელი და თანამდებობიდანაც კი გადააყენოს;

დ) ბოროტმოქმედებათა და სხვა დანაშაულთა აღმოჩენისას დამნაშავენი სამართალში მისცეს კანონით დადგენილი წესით;

ე) კონტროლისა და რევიზიის დროს თანამდებობის პირთა ისეთი არასწორი მოქმედების აღმოჩენის შემთხვევაში, რომლითაც სახელმწიფოს ზარალი აქვს მიყენებული, დამნაშავეებს დააკისროს ფულის გადახდა დადგენილი წესების შესაბამისად.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე
ფ. მახარაძე

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი
ვ. ეგნატაშვილი

თბილისი. 1940 წ. 31 ოქტომბერს.

ბრძანებულება

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

ამხ. მ. ი. ჯაშის საქართველოს სსრ სახელმწიფო კონტროლის სახალხო კომისრად და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილედ დანიშვნის შესახებ

დაინიშნოს ამხ. **მაკარ ივანეს-ძე ჯაში** საქართველოს სსრ სახელმწიფო კონტროლის სახალხო კომისრად და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილედ.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე
ფ. მახარაძე

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი
ვ. ეგნატაშვილი

თბილისი. 1940 წ. 31 ოქტომბერს.

წარმოებაში მაღალი კულტურისათვის

ბოლშევიკების პარტიის XVIII ყრილობამ ჩვენ შეგვაიარაღა იმის შეგნებით, რომ საწარმოო ძალთა და მთლიანად ჩვენი სახალხო მეურნეობის შემდგომმა განვითარებამ უნდა უზრუნველჰყოს სოციალიზმის ქვეყნის თანდათანობითი გადასვლა კომუნიზმის პირველი ფაზიდან მეორე ფაზაში. იმისათვის, რომ წარმატებით გადაიჭრას ეს ისტორიული ამოცანა, სოციალისტური მრეწველობა შეუჩერებლივ უნდა მიდიოდეს წინ, ტექნიკური პროგრესის გზით. უკანასკნელ წლებში ჩვენში შეიქმნენ და ამუშავდნენ ახალი სამრეწველო გიგანტები, მძლავრი ინდუსტრიული კერები. გიგანტური ნაბიჯით მიდის წინ ტექნიკა. ჩვენ გვაქვს ასეულ ათასობით საწარმოები, რომლებიც მოწყობილია ტექნიკის უკანასკნელი სიტყვის მიხედვით. ამ საწარმოებში ტექნიკა როდი იყინება ერთ წერტილზე, იგი კვლავ მიიწევს წინ. მაგრამ მოგვეპოვებიან ისეთი საწარმოებიც, რომლებიც გუშინ მოწინავენი იყვნენ, მაგრამ დღეს ჩამორჩებიან. ჩამორჩებიან იმიტომ, რომ არ ზრუნავენ ახალ კონსტრუქციებზე, რაციონალიზატორულ ღონისძიებათა გატარებაზე, იმაზე, რომ ფართოდ გამოიყენონ ყველაფერი, რაც უკეთესია ტექნიკაში, უკეთესია ტექნოლოგიაში.

ამოცანა მდგომარეობს იმაში, რომ სისტემატურად ვიმუშაოთ თვითეული წარმოების ტექნიკურ პროგრესზე, ახალი ტექნიკის დაუფლებაზე.

ვლაპარაკობთ რა ტექნიკურ პროგრესზე, ჩვენ ვგულისხმობთ წარმოებაში მაღალი კულტურის დანერგვას, ისეთ ტექნოლოგიური რეჟიმის დამყარებას, რომ განუწყვეტლად იზრდებოდეს შრომის ნაყოფიერება, რადგან სწორედ შრომის ნაყოფიერება, — როგორც ვ. ი. ლენინი გვასწავლიდა, — საბოლოო ანგარიშით, ყველაზე მნიშვნელოვანი, ყველაზე უფრო მთავარია ახალ საზოგადოებრივი წყობილების გასამარჯვებლად.

რას ნიშნავს წარმოებაში მაღალი კულტურის დანერგვა?

ეს ნიშნავს იმას, რომ მაქსიმალურად გამოიყენო წარმოების შინაგანი რესურსები და დაგროვების წყაროები; ეს ნიშნავს დაიფასო დროის ფაქტორი, მტკიცედ დაიცვა შრომისა და ტექნოლოგიური დისციპლინა.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 26 ივნისის ბრძანებულებით გათვალისწინებული ღონისძიებანი სწორედ იქით არის მიმართული, რომ საწარმოებში დამყარდეს რკინისებური დისციპლინა, შემდგომ უფრო გაიზარდოს შრომის ნაყოფიერება. მაგრამ აქ ლაპარაკია არა მარტო სამუშაოზე დროულად გამოცხადებასა და წასვლაზე, არამედ მთელი 480 წუთის მიზანშეწონილად და ეფექტურად გამოყენებაზე.

არიან საწარმოები, სადაც დანადგარები მოწყობილია ტექნიკის უკანასკნელი სიტყვის მიხედვით. თითქოს ყველა პირობა არსებობს იმისათვის, რომ საწარმო ასრულებდეს სახელმწიფო გეგმებს — ქვეყანას აძლევდეს მეტს და მაღალხარისხოვან პროდუქციას. განა ასე არ უნდა მუშაობდეს, თუ გნებავთ, თბილისის კიროვის სახელობის დაზგათმშენებელი ქარხანა? მაგრამ ამ ქარხანას უკანასკნელ თვეებში თავი ვერ დაუღწევია გარღვევებისათვის. გარღვევები აქვს თბილისის 26 კომისართა სახელობის ქარხანასაც.

თუ არაფერს ვიტყვით ტექნიკურ პროგრესზე, საკმარისია ისიც ითქვას, რომ ამ ქარხნებში და ზოგიერთ სხვა ქარხნებშიაც ჯერ კიდევ სუსტად ანხორციელებენ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 26 ივნისისა და 10 ივლისის ბრძანებულებებით გათვალისწინებულ ღონისძიებებს. ჯერ კიდევ აქვს ადგილი სამუშაო საათების გაცდენას, გაუმართლებელ დგომებს და ა. შ.

თბილისის სტალინის სახელობის ორთქლმავალ - ვაგონსარემონტო ქარხანაში, სადაც თვალსაჩინო მუშაობა ჩატარდა შრომის დისციპლინის განმტკიცებისათვის, ჯერ კიდევ აქვს ადგილი ბრძანებულების დარღვევის ფაქტებს. და სამწუხაროა ის, რომ შრომის დისციპლინის დამრღვევთა შორის არიან კომუნისტები და კომკავშირელებიც. ვინ უნდა იბრძოდეს პირველ რიგში ტექნიკური პროგრესისათვის, წარმოებაში მაღალი კულტურისათვის, შრომისა და ტექნოლოგიური დისციპლინისათვის? გასაგებია, რომ ამ მხრივ მუშაობის საუკეთესო ნიმუშებს უნდა გვიჩვენებდნენ კომუნისტები. პარტიული წესდება თვითეული კომუნისტისაგან მოითხოვს, რათა იგი — **„იყოს შრომითი და სახელმწიფოებრივი დისციპლინის დაცვის ნიმუში, ეუფლებოდეს თავისი საქმის ტექნიკას, განუწყვეტლივ ამაღლებდეს თავის საწარმოს, საქმიან კვალიფიკაციას".**

კომუნისტი, რომელიც არღვევს შრომის დისციპლინას, ამით არღვევს პარტიულ დისციპლინას. ლენინ-სტალინის პარტია სოციალისტური სახელმწიფოს მმართველი პარტიაა და ამიტომ სახელმწიფოებრივი დისციპლინის დარღვევა უნდა შეფასდეს როგორც პარტიული დისციპლინის დარღვევა.

საწარმოს პარტიულმა ორგანიზაციამ, რომელსაც მინიჭებული აქვს ადმინისტრაციის საქმიანობისადმი კონტროლის უფლება, უნდა შემოიკრიბოს თავის გარშემო ინჟინერ-ტექნიკოსთა ძალები. პარტიული ორგანიზაცია უნდა სწავლობდეს წარმოების ეკონომიკას, წარმოებაში ტექნოლოგიური პროცესების უკეთესად მოწყობას, განუწყვეტლივ ზრუნავდეს ტექნიკურ პროგრესზე.

ხშირად გამომგონებელთა და რაციონალიზატორთა ტექნიკურ წინადადებებს არაგულისხმიერად ექცევიან, მაშინ როდესაც საქმიან წინადადებებს შეუძლია წარმოებას მისცეს ათეულ ათასობით მანეთის ეკონომია.

მონტაჟის და ახალი კონსტრუქციის საკითხები, აგრეთვე რაციონალიზატორული ღონისძიებანი პარტიულ ორგანიზაციათა მსჯელობის საგნად უნდა გადაიქცეს.

ყოველმხრივ მისასალმებელი იქნებოდა, თუ პარტიული ორგანიზაციები პრაქტიკაში შემოიღებდნენ პერიოდულად ტექნიკური კონფერენციების ჩატარებას. ასეთი კონფერენციები საშუალებას მისცემენ გამომგონებლებს და რაციონალიზატორებს უფრო მეტი ხალისით იმუშაონ ტექნიკური პროგრესის საკითხებზე, მოამზადონ და კონფერენციაზე განსახილველად შემოიტანონ საგულისხმო და საქმიანი წინადადებანი.

საწარმოთა პარტიული ორგანიზაციები ენერგიულად უნდა იბრძოდნენ მოწინავე ტექნიკის დანერგვისათვის, შრომის დისციპლინის განმტკიცებისათვის, პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებისათვის. რაც შეიძლება მეტი გულისხმიერებით უნდა მოვეპყრათ ტექნიკის ნოვატორებს. არცერთი საქმიანი წინადადება არ უნდა დარჩეს ყურადღების გარეშე. წარმოების ტექნიკური პროგრესისათვის უნდა იბრძოდნენ არა მარტო ინჟინერ-ტექნიკოსები, კონსტრუქტორები და ტექნოლოგები, არამედ მთელი საწარმოს კოლექტივი და ამ ბრძოლაშიაც პირველ რიგში უნდა იყვნენ კომუნისტები.

საზღვაო სანაოსნოთა შექმნა ესტონეთსა და ლატვიაში

სსრ კავშირის სახკომსაბჭოს გადაწყვეტილებით სსრკ საზღვაო ფლოტის სახალხო კომისარიატმა ბალტიისპირეთში შექმნა ორი ახალი სახელმწიფო საზღვაო სანაოსნო—ესტონეთისა, რომლის სამმართველო არის ტალინში და, ლატვიისა, რომლის სამმართველო არის რიგაში. ტალინში ეწყობა ტალინის მთავარი საზღვაო სააგენტო, რომელსაც განყოფილება ექნება პიარნუში. რიგაში კი—რიგის მთავარი საზღვაო სააგენტო, რომელსაც განყოფილებები ექნება ლეპაისა და ვენტსპილსის ნავსადგურებში. (საკდესი).

უცხო ენების მასწავლებელთა მომზადება საშუალო სკოლისათვის

1 ნოემბერს მუშაობას დაიწყებენ უცხო ენების (გერმანული, ინგლისური, ფრანგული) ორწლიანი კურსები, რომლებიც მოწყობილია რუსეთის სფს რესპუბლიკის, უკრაინის, ბელორუსიის, ყაზახეთის, ტაჯიკეთის, საქართველოს და სხვა მოკავშირე რესპუბლიკების 62 პედაგოგიურ ინსტიტუტთან. კურსები ნავარაუდევია იმ პირთათვის, რომლებმაც უცხო ენა იციან ან რომლებსაც მოეპოვებათ უცხო ენის ცოდნა საშუალო სკოლის პროგრამის ფარგლებში. წელს იმეცადინებს 6 ათასი კაცი, 1941 წელს—7.500 და 1942 წელს—10.500 კაცი.

კურსდამთავრებულნი მიიღებენ უფლებას ასწავლონ უცხო ენა საშუალო სკოლების 5-7 კლასებში.

პარაგვაის ჩაი

ბათუმის ბოტანიკურ ბაღში და ტენიან სუბტროპიკულ კულტურათა სრულიად - საკავშირო სასელექციო სადგურში (სოხუმი) წელს დათესილ იქნა პარაგვაის ჩაი—მატე.

პარაგვაის ჩაი, რომლის მოშენებაც განზრახულია საბჭოთა სუბტროპიკებში,—უცხოეთის ერთ-ერთი შესანიშნავი მცენარეა. მატე გემრიელ სასმელს იძლევა. სამხრეთ ამერიკის მილიონობით მცხოვრებნი მას ჩინურ ჩაის ამჯობინებენ.

პარაგვაის ჩაი განსაკუთრებით კარგად მოქმედებს ადამიანის ორგანიზმზე, ამაგრებს ნერვულ სისტემას, აძლიერებს მადას და აუმჯობესებს სისხლის მიმოქცევას. მატეს შეუძლია შესცვალოს კოლის კაკალი, რასაც ორგანიზმის ძლიერი მოქანცვის დროს ხმარობენ.

სახელმწიფო სესხების ტირაჟები ნოემბერში

ნოემბერში შესდგება მესამე ხუთწლედის სესხის მოგებათა ორი ტირაჟი. 11 ნოემბერს პენზაში დაიწყება მესამე ხუთწლედის სესხის (პირველი წლის გამოშვება) მე-8 ტირაჟი. 23 ნოემბერს პოლტავაში — მესამე ხუთწლედის სესხის (მეორე წლის გამოშვება) მე-3 ტირაჟი.

ორივე ტირაჟში გათამაშებულ იქნება 1.498.000 მოგება.

(საკდესი).

ბურიატ-მონღოლური ხელოვნების დეკადის მონაწილეთა დაჯილდოება

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ა. წ. 31 ოქტომბრის ბრძანებულებით ბურიატ-მონღოლური თეატრალური და მუსიკალური ხელოვნების განვითარების საქმეში თვალსაჩინო დამსახურებისათვის დაჯილდოებული არიან: **ლენინის ორდენით** გომბო ციდენჟაპის-ძე **ციდენჟაპოვი** — ბურიატ-მონღოლეთის ასსრ სახალხო არტისტი, ბურიატ-მონღოლეთის ასსრ სახელმწიფო მუსიკალურ - დრამატიული თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელი.

შრომის წითელი დროშის ორდენით დაჯილდოებულია 10 კაცი. მათ შორის: ნამჟილ გარმას-ძე **ბალდანო** — ბურიატ-მონღოლეთის ასსრ სახალხო არტისტი, დრამატურგი - რეჟისორი; ხაიდან დაშინამჟილის-ასული **გენდუნოვა** — ბურიატ - მონღოლეთის ასსრ დამსახურებული არტისტი, ბურიატ-მონღოლეთის სახელმწიფო მუსიკალურ - დრამატიული თეატრის მსახიობი; ნადეჟდა კაზაკის-ასული **პეტროვა** — ბურიატ-მონღოლეთის სახელმწიფო მუსიკალურ-დრამატიული თეატრის მსახიობი და სხვები.

„საპატიო ნიშნის" ორდენით დაჯილდოებულია 18 კაცი.

მედლით „შრომითი წარჩინებისათვის" დაჯილდოებულია 37 კაცი.

რუსეთის სფსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით თეატრალური და მუსიკალური კულტურის განვითარებაში თვალსაჩინო დამსახურებისათვის საპატიო სახელწოდებანი მიენიჭა ბურიატ - მონღოლური ხელოვნების დეკადის მთელ რიგ მონაწილეებს. რუსეთის სფსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის სახელწოდება მიენიჭა 2 კაცს, რუსეთის სფსრ დამსახურებული არტისტის სახელწოდება—5 კაცს. (საკდესი).

სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოში

ბურიატ-მონღოლეთის ასსრ ხელოვნების განვითარების ღონისძიებათა შესახებ

ბურიატ-მონღოლეთის ასსრ ხელოვნების შემდგომ განვითარებისათვის ხელსაყრელი პირობების შექმნის მიზნით სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭომ **დაადგინა:**

1. დამტკიცდეს 1941-1942 წლისათვის ქ. ულან-უდეში ბურიატ-მონღოლეთის მუსიკალურ-დრამატიული თეატრის 800-ადგილიანი შენობის აგება, რომლის სახარჯთაღრიცხვო ღირებულება განისაზღვროს 7 მილიონი მანეთით.

2. დამტკიცდეს 1941 წელს ქ. ულან - უდეში ხელოვნების მუშაკთათვის საცხოვრებელი სახლის აგება, რომლის სახარჯთაღრიცხვო ღირებულება განისაზღვროს 900 ათასი მანეთით.

3. დამტკიცდეს 1941 წელს ქ. ულან - უდეში მხატვართათვის სასტუდიო შენობის აგება, რომლის სახარჯთაღრიცხვო ღირებულება განისაზღვროს 500 ათასი მანეთით.

4. შეტანილ იქნას სსრ კავშირის სახკომსაბჭოსთან არსებული ხელოვნების საქმეთა კომიტეტის კაპიტალური სამუშაოთა გეგმაში 1941 წლისათვის ასიგნობები ბურიატ - მონღოლეთის ასსრ რესპუბლიკაში კაპიტალური მშენებლობისათვის 2,5 მილიონი მანეთის რაოდენობით.

5. გამოეყოს 1941 წლის IV კვარტალში სსრ კავშირის სახკომსაბჭოსთან არსებულ ხელოვნების საქმეთა კომიტეტს 500 ათასი მანეთი ზემოხსენებული მშენებლობებისათვის მოსამზადებელი მუშაობის ჩასატარებლად ქ. ულან-უდეში საზაფხულო თეატრის შენობის მოსათავსებლად.

ბურიატ-მონღოლური ხელოვნების ქ. მოსკოვში ჩატარებული დეკადის მონაწილეთა და ორგანიზატორთა დაჯილდოების შესახებ

სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭომ დაადგინა, დააჯილდოოს ბურიატ-მონღოლური ხელოვნების ქ. მოსკოვში ჩატარებული დეკადის მონაწილენი და ორგანიზატორები ფულადი პრემიით 2 თვის ხელფასის რაოდენობით.

დეკადის მონაწილე ბავშვები დაჯილდოებული არიან დასასვენებელი სახლებისა და სანატორიუმების საგზურებით. (საკდესი).

ლატვიის სამედიცინო დელეგაციის მიღება სსრ კავშირის ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატში

ლატვიის სს რესპუბლიკის სამედიცინო დელეგაცია, რომელიც მოსკოვს ჩამოვიდა, რამდენიმე დღის განმავლობაში ათვალიერებდა დედაქალაქის სამკურნალო და სამეცნიერო დაწესებულებებს, ეცნობოდა სსრ კავშირის ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატის სამმართველოების მუშაობას.

სსრ კავშირის ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატში გაიმართა დარბაზობა დელეგაციის პატივსაცემად. დარბაზობას დაესწრნენ: ლატვიის სსრ ჯანმრთელობის დაცვის სახალხო კომისარი ემილ პლანდერსი, რესპუბლიკის ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატის დედათა და ბავშვთა დახმარების სამმართველოს უფროსი ალისა მაზურსი და სამკურნალო დაწესებულებათა სამმართველოს უფროსი იაკობ დილე. დაესწრნენ აგრეთვე სსრ კავშირის ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატის კოლეგიის წევრები და სამმართველოთა უფროსები. (საკდესი).

ა. მ. გორკის მუზეუმის სამი წელი

1 ნოემბერს სამი წელი შესრულდა მას შემდეგ, რაც მოსკოვში გაიხსნა ა. მ. გორკის სახელობის მუზეუმი—დიდი რუსი მწერლის შესანიშნავი ძეგლი.

ვოროვსკის ქუჩაზე მდებარე სახლის დარბაზებში ათასობით ექსპონატებს შორის გამოფენილია ალექსი მაქსიმეს-ძის ხელნაწერები, წერილები, იშვიათი წიგნები, და ფოტოგრაფიული სურათები, ქანდაკებანი, ნახატები, ნივთები, რომლებითაც მწერალი სარგებლობდა. გორკისადმი ხალხის უდიდეს სიყვარულს ამ მუზეუმში მოჰყავს ყველ ასაკისა და პროფესიის ხალხი — დონბასის სტახანოველები, კამჩატკის მებადურეები, ლენინგრადის პროპაგანდისტები, ყაზახეთის კოლმეურნეები, მწერლები, არტისტები, მოსწავლეები.

ამ სამი წლის განმავლობაში ა. მ. გორკის მუზეუმი დაათვალიერა 250.000-მდე კაცმა. მის დარბაზებში გაიარა 9.900 ექსკურსიამ. დამთვალიერებლები აღტაცებულ ჩანაწერებს სტოვებენ. „მუზეუმი დავათვალიერეთ, — სწერს სტუდენტთა ჯგუფი,—და მადლობას ვუძღვნით პარტიასა და მთავრობას იმისათვის, რომ ალექსი მაქსიმეს-ძისათვის შექმნილია დიდებული ძეგლი. მუზეუმი საბჭოთა მოქალაქეების ღირსშესანიშნავ ადგილს წარმოადგენს". „მუზეუმის დათვალიერებამ, — სწერენ შინსახკომის ჯარის მებრძოლნი, — უფრო მეტი სურვილი აღგვიძრა, რათა შევისწავლოთ დიდი რევოლუციონერი მწერლის მჩქეფარე ცხოვრება და ნაწარმოებნი. ქედს ვიხრით გორკის წინაშე, რომელიც თავისი კალმით ხალხის მტრებს ანადგურებდა".

მუზეუმი ფართო პოპულარობით სარგებლობს არა მარტო დედაქალაქში. მან ფილიალი მოაწყო დაბა კირიავალაში (კარელია-ფინეთის სსრ) და ლიტერატურულ მემორიალური მუზეუმი — პოლტავის ოლქის სოფელ მანუილოვკაში, სადაც რევოლუციამდე გორკი ცხოვრობდა და მუშაობდა. დიდი წარმატება ჰქონდა მუზეუმის მოძრავ გამოფენებს ბელოსტოკში, გროდნოსა და ბრესტში, მოსკოვის საწარმოებსა და კლუბებში. ეს გამოფენები 41 ათასამდე კაცმა დაათვალიერა. დედაქალაქის უმსხვილეს საწარმოებში გაიმართა გორკისადმი მიძღვნილი 367 მოხსენება და მკითხველთა კონფერენცია.

ა. მ. გორკის მუზეუმსა და არქივს განუწყვეტლივ ემატება ახალ-ახალი მასალა. (საკდესი).

უკანასკნელი ცნობები

ინგლის-გერმანიის ომი

გერმანიის ცნობები

ბერლინი, 1 ნოემბერი. გერმანიის სარდლობა იუწყება: „განსაკუთრებით არახელსაყრელი მეტეოროლოგიური პირობების გამო ინგლისის ავიაცია გუშინ სრულ უმოქმედობას იჩენდა. ჩვენი თვითმფრინავები კი კვლავ ყუმბარებს უშენდნენ ლონდონსა და სამხრეთ, ცენტრალურ და დასავლეთ ინგლისში მდებარე სხვა ობიექტებს, რომლებსაც სამხედრო თვალსაზრისით დიდი მნიშვნელობა აქვთ. ბირმინჰამში და ბრისტოლის სამხრეთ გარეუბანში წარმატებით დაუშინეთ ყუმბარები მნიშვნელოვან სამხედრო ქარხნებს. ლონდონის დასავლეთით მდებარე საომარი მასალის საწყობებზე თავდასხმის დროს ზოგიერთი მათგანი აფეთქდა. ბომბარდირებამ გამოიწვია მატარებლის მარცხი. ინგლისის აეროდრომებზე თავდასხმების დროს ყუმბარები პირდაპირ მოხვდა ანგარებს, საწყობებსა და თავშესაფრებს. ჩვენმა თვითმფრინავებმა დაბლა ფრენისას ტყვიამფრქვევები დაუშინეს და ზიანი მიაყენეს ინგლისის რამდენიმე თვითმფრინავს, რომლებიც აეროდრომზე იდგა; ირლანდიის დასავლეთით ჩვენმა ავიაციამ ინგლისის სატრანსპორტო გემი ჩაძირა, რომლის წყალწყვა დაახლოებით 6 ათას სარეგისტრო ბრუტოტონას უდრიდა. ინგლისის სამხრეთ-აღმოსავლეთ სანაპიროსთან გაფანტულ იქნა მტრის გემების ქარავანი. გემებს პირდაპირ მოხვდა რამდენიმე ყუმბარა, ამასთან ერთი გემი ძალზე დაგვერდდა და იძულებული გახდა გაჩერებულიყო. ნორვეგიის დასავლეთ სანაპიროსთან მომხდარი საჰაერო ბრძოლის დროს ჩამოგდებულ იქნა მტრის ორი თვითმფრინავი. გერმანიის ავიაციას ზარალი არ მოსვლია".

ბერლინი, 1 ნოემბერი. როგორც გერმანიის საინფორმაციო ბიურო იუწყება, გუშინ ინგლისის სამხრეთ სანაპიროს ერთერთ ქალაქში, ვაგზლის მახლობლად ყუმბარების გასკდომის შედეგად, ცეცხლი გაუჩნდა რამდენიმე პაკჰაუზს. ხანძარი სწრაფად მოედო სხვა ობიექტებსაც. ყუმბარა დავუშინეთ აგრეთვე ბირმინჰამის მახლობლად მდებარე აეროდრომს, რომელზედაც დაზიანებულ იქნა რამდენიმე ანგარი და შენობა.

ბომბარდირების შედეგად ლონდონში, სიტის რაიონში მრავალ ადგილას გაჩნდა ხანძარი და მოხდა აფეთქება. ქალაქის სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში ძალზე დაზიანდა ერთი დიდი ქარხნის ნაგებობა. დაბლა ფრენისას ჩვენმა თვითმფრინავებმა მრავალი ყუმბარა დააყარეს ლონდონის ჩრდილოეთით მდებარე აეროდრომს. საფუძველი გვაქვს ვიფიქროთ, რომ მწყობრიდან გამოყვანილ იქნა მტრის 30-მდე თვითმფრინავი.

ინგლისის ცნობები

ლონდონი, 1 ნოემბერი. ოფიციალურად იუწყებიან, რომ 31 ოქტომბერს, ღამით, კიდევ უფრო შემცირდა მტრის ავიაციის მოქმედება ინგლისში. ჩამოყრილ იქნა რამდენიმე ყუმბარა, უმთავრესად აღმოსავლეთ ინგლისში, ლონდონის რაიონში და ინგლისის ცენტრალური ნაწილის ერთერთ ქალაქში. ზარალი უმნიშვნელოა. მსხვერპლი მცირეა.

ლონდონი, 1 ნოემბერი. რეიტერის სააგენტო იუწყება, რომ გუშინ შუადღემდე გერმანიის ავიაცია მცირე აქტივობას იჩენდა. ნაშუადღევს გერმანიის თვითმფრინავები თავს დაესხნენ ინგლისის სხვადასხვა პუნქტს; მატერიალური ზარალი უმნიშვნელოა. ღამით მტრის თვითმფრინავებმა ინგლისის სხვადასხვა რაიონში ყუმბარები ჩამოჰყარეს.

ინგლისის ავიაციამ 30 ოქტომბერს ღამით ყუმბარები დაუშინა გერმანიის მიერ ოკუპირებულ ნავსადგურებს ფლისინგენს, ანტვერპენს და გერმანიის ნავსადგურ ემდენს. ჩვენმა ავიაციამ ბევრი ყუმბარა დააყარა ვალჰავენს, სადაც ხანძარი გაჩნდა.

ამერიკის ცნობები

ნიუ-იორკი, 1 ნოემბერი. ასოშიეიტედ პრესის სააგენტოს ცნობით, იტალიის წყალქვეშა ნავმა 30 ოქტომბერს მოსპო ნაწილი ლითონის წყალქვეშა ქსელისა, რომელიც გიბრალტარის ნავსაყუდლის შესასვლელს იცავდა, და მიიმალა. დაზიანებული ქსელი შეკეთებულ იქნა. გუშინ დილაადრიან სამხედრო ხომალდებისა და თვითმფრინავების თანხლებით გიბრალტარიდან 63-ზე მეტი სავაჭრო გემი გავიდა.

ნიუ-იორკი, 1 ნოემბერი. როგორც იუნაიტედ პრესის სააგენტო გადმოგვცემს, ესპანეთის სააგენტო მენჩეტა იუწყება, რომ ლა ლინეას მახლობლად ნაპირზე იპოვეს უცნაური ფორმის გემი, რომელიც ტორპედისა და კატარღის კომბინაციას წარმოადგენს. გემის სიგრძე 10 ფუტია. მას აქვს საჭე, პროპელერი, მუხრუჭი, ბენზინით მოქმედი მოტორი, რომელიც კიდევ მოქმედებდა, როცა გემი იპოვნეს. გემი ერთადგილიანია. მეთვალყურენი ფიქრობენ, რომ ეს, ალბათ, სამართი ტორპედოა (საკდესი).

საბერძნეთ-იტალიის ომი

ბერლინი, 1 ნოემბერი. როგორც გერმანიის საინფორმაციო ბიურო გადმოგვცემს, იტალიაში გამოქვეყნდა მუსოლინის დეკრეტი, რომლითაც ალბანეთის პროვინციები გინოკასტერი, კორიცა (კორჩა), ბერატი, ვალონა, ელბასანი, ტირანა, დურესი (დურაცო), და მდინარე ბოიანისა და მდინარე მატის შესართავთა შორის მდებარე სანაპირო საომარი ოპერაციების რაიონად ცხადდება, რომელზედაც ვრცელდება სათანადო განკარგულებანი.

ნიუ-იორკი, 1 ნოემბერი. როგორც იუნაიტედ პრესის სააგენტო იუწყება, საბერძნეთის მსუბუქმა ყუმბარმშენებმა იერიში მიიტანეს იტალიის სატრანსპორტო კოლონებსა და ჯარებზე, რომლებიც იონიის ზღვის სანაპიროს გასწვრივ მიდიოდნენ. იტალიელები ცდილობენ მდინარე კალმასის ხეობით წაიწიონ იანინისაკენ.

ყუმბარები დაუშინეს აგრეთვე იტალიის მომარაგების ბაზებს, განსაკუთრებით მერტსეკის რაიონში.

ათენი, 1 ნოემბერი. საბერძნეთის დეპეშათა სააგენტო გადმოგვცემს საბერძნეთის შეიარაღებულ ძალთა უმაღლესი სარდლობის შემდეგ ცნობას, რომელიც დათარიღებულია 31 ოქტომბერს, საღამოს: „ეპირის რაიონში მოწინააღმდეგის ქვეითი ჯარისა და ტანკების ოპერაციები ყველგან მოგერიებულ იქნა. მოწინააღმდეგე დაზარალდა. წამოყვანილია ტყვეები. მოწინააღმდეგის ჯართან ერთად მოქმედებდნენ არარეგულარული რაზმები. გუშინ ჩვენმა ავიაციამ ზარბაზანი და ტყვიამფრქვევი დაუშინა მოწინააღმდეგის ჯარის ნაწილებს. საჰაერო ბრძოლის დროს ჩამოგდებულ იქნა მტრის ერთი თვითმფრინავი, მეორე კი დაზიანდა. ჩვენმა თვითმფრინავებმა გაანადგურეს მოწინააღმდეგის საზვერავო თვითმფრინავი, რომელიც გამოდევნების დროს დაზიანებულ იქნა. ჩვენი საზღვაო ძალები ერთ საათზე მეტ ხანს წარმატებით უშენდნენ ყუმბარებს მოწინააღმდეგის მარჯვენა ფლანგს" (საკდესი).

ნიუ-იორკი, 1 ნოემბერი. ამერიკის დეპეშათა სააგენტოების ცნობებით, იტალიის ჯარის კორპუსი 29 ოქტომბერს შეიჭრა საბერძნეთის ტერიტორიაზე, მაგრამ უკუგდებულ იქნა.

საბერძნეთის ოფიციალურ წრეებში აცხადებენ, რომ საბერძნეთის სარდლობამ ჯარს უბრძანა შეინარჩუნოს თავისი პოზიციები რადაც უნდა დაჯდეს. მაგრამ ნუ დაიჯერებთ იტალიელებს ქ. სადაც მათ იერიშებს მოიგერიებენ. ჩასაფრებულმა ბერძნებმა ფლორინასა და იანინას შორის მდებარე რაიონში იტალიელები უკუაგდეს ალბანეთის ტერიტორიაზე და ტყვედ ჩაიგდეს 100 იტალიელი. საბერძნეთის ჯარი კონტრშეტევაზე გადავიდა იანინის ჩრდილოეთით, სადაც მან, მოწინააღმდეგის ძლიერი სროლის მიუხედავად, იერიშით აიღო ერთი მაღლობი. იანინის რაიონში გაფართოებული ბრძოლაა. მაგრამ არც ერთი მხარის პოზიციების განლაგებაში დღემდე დიდი ცვლილება არ მომხდარა. ორივე მხარე ყუმბარას უშენს ფრონტის ხაზის გადაღმა მდებარე კომუნიკაციებს. როგორც გადმოგვცემენ, საბერძნეთის არმიის სარდალი ბრძანებათა შეუსრულებლობისათვის თანამდებობიდან გადააყენებს. დასავლეთის ფლანგზე იტალიელები საბერძნეთის თავდაცვის მთავარ ხაზს უახლოვდებიან, სადაც საბერძნეთის დიდძალი ჯარია თავმოყრილი.

იტალიის ჯარი მსუბუქი სამთო არტილერიით შეიარაღებული, დელვინიდან (ალბანეთი) იანინისაკენ მიმავალი გზით 4 მილის მანძილზე შეიჭრა საბერძნეთში. ბერძნები ძლიერ წინააღმდეგობას უწევდნენ, მაგრამ იძულებული იყვნენ უკან დაეხიათ.

მთელი ჩრდილოეთის ფრონტზე ბერძნები თავიანთ თავდაცვითს პოზიციებს ინარჩუნებენ და უმკლავდებიან იტალიელთა იერიშებს ფლორინასა და კასტორიის დასავლეთით. ჩრდილოეთ საბერძნეთის ყველა ქალაქში ღამ-ღამობით შუქჩაქრობა ტარდება.

იტალიის ჯარის იმ ნაწილებმა, რომლებიც სამხრეთ სექტორში უტევენ, იერიში მიიტანეს ბერძნებზე, მაგრამ საბერძნეთის თავდაცვის ხაზი ვერ გაარღვიეს. არსებული ცნობებით, იტალიელთა შეტევა იანინის რაიონში შეჩერებულ იქნა, მაგრამ იტალიელებმა აქ მოასწრეს 50 კილომეტრით წინწაწევა.

30 და 31 ოქტომბერს იტალიელებმა მთელი ჩრდილოეთის ფრონტის გასწვრივ, მრავალ პუნქტში თავი მოუყარეს მოტორიზებულ ნაწილებს.

საბერძნეთის ფლოტმა 30 ოქტომბერს ძლიერ დაუშინა ყუმბარები იტალიელთა მოწინავე პოზიციებს კონისპოლისის მახლობლად, კორფუს კუნძულის პირდაპირ. ინგლისის ავიაციამ ამ რაიონში იტალიის ერთი თვითმფრინავი ჩამოაგდო.

საბერძნეთის სამხედრო ხომალდებმა, რათა იტალიელთა ძლიერი შემოტევისათვის ხელი შეეშალათ, ავიაციის დახმარებით ყუმბარები დაუშინეს ალბანეთის სამხრეთ ნაწილს. ინგლისის ყუმბარმშენებმა, რომლებიც საბერძნეთის ბაზებიდან გამოფრინდნენ, ყუმბარები დააყარეს ტირანას და ალბანეთის რამდენიმე ნავსადგურს. ტირანის ბომბარდირებაში საბერძნეთის ავიაციაც მონაწილეობდა.

ლონდონი, 1 ნოემბერი. რეიტერის სააგენტო იუწყება, რომ 30 ოქტომბერს იტალიის თვითმფრინავებმა ყუმბარები დაუშინეს ქალაქ ეგინას. მატერიალური ზარალი უმნიშვნელოა. ამ თავდასხმასთან დაკავშირებით ათენში საჰაერო განგაში გამოცხადდა. ქალაქში მცხოვრებ ყველა უცხოელს ეკრძალა საღამოს 9 საათის შემდეგ შინიდან გამოსვლა. გამონაკლისი დაშვებულია მხოლოდ ინგლისის ქვეშევრდომებისათვის, როგორც საბერძნეთის მოკავშირეებისათვის.

იტალიის ჯარის ავანგარდებმა 6 მილით წაიწიეს წინ საბერძნეთის ტერიტორიაზე. მაგრამ იტალიელები ჯერჯერობით არც ერთ პუნქტში არ მისდგომიან ბერძნების ძირითადს თავდაცვით პოზიციებს. იტალიელები დიდძალ საველე არტილერიას იყენებენ, რომელშიც მათ მნიშვნელოვანი უპირატესობა აქვთ ბერძნების წინაშე. საბერძნეთ-ალბანეთის საზღვარზე მდებარე ადგილის მთაგორიანი ხასიათი იტალიის ჯარს მხოლოდ სამი მიმართულებით წინსვლის შესაძლებლობას აძლევს.

ჩრდილოეთ - აღმოსავლეთის კლდეკარს, რომელიც სალონიკისაკენ მიმავალ გზაზე ფლორინას მისასვლელს წარმოადგენს, ბერძნები გულმოდგინედ იცავენ. ფლორინაზე შესატევად იტალიელებმა კორჩაში (ალბანეთი) დიდძალ ჯარს მოუყარეს თავი.

მეორე კლდეკარი ფრონტის ცენტრში მდებარეობს და ძნელადმისადგომი რაიონისაკენ მიდის. მესამე კლდეკარი სანაპიროს გასწვრივ მდებარეობს მთებსა და ზღვას შორის. (საკდესი).

საბერძნეთის დეპეშათა სააგენტო უარყოფს უცხოეთის პრესის ჭორებს

ათენი, 31 ოქტომბერი (საკდესი). საბერძნეთის დეპეშათა სააგენტო უარყოფს საზღვარგარეთ გავრცელებულ ხმებს საბჭოთა ყუმბარმშენების და ავიაგამანადგურებლების საბერძნეთში ჩაფრენის შესახებ.

ქართლის რაიონების სტალინური აყვავებისათვის

მეხილეობა მცხეთის რაიონში

რაიონში არსებული 51 კოლმეურნეობიდან 5 კოლმეურნეობა დღემდე სრულიად არ მისდევდა მეხილეობას, დანარჩენ კოლმეურნეობათა ნაწილში კი სოფლის მეურნეობის ეს მეტად სასარგებლო დარგი სუსტად იყო განვითარებული. სსრ კავშირის სახკომსაბჭოსა და საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის 15 ოქტომბრის დადგენილების საფუძველზე ჩატარებულმა შემოწმებამ დაგვარწმუნა, რომ სამრეწველო მეხილეობა თავისუფლად შეიძლება განვითარდეს რაიონის ყველა კოლმეურნეობაში.

ხუთწლიანი გეგმა ითვალისწინებს 1941-45 წლების მანძილზე მცხეთის რაიონის კოლმეურნეობებში სამრეწველო მეხილეობის ფართობის 1500 ჰექტარამდე აყვანას. ყველაზე უფრო გასავრცელებელ აკლიმატიზირებულ ჯიშებად მცხეთის რაიონისათვის უნდა ჩაითვალოს ვაშლის ჯიშები — კეხურა და ზამთრის ოქროსფერი პარმენი, რომლებიც კარგ მოსავალს იძლევიან. კარგ მოსავალს იძლევა აგრეთვე შამპანური რენეტი, მაგრამ საჭიროა ამ ჯიშის მომშენებელმა კოლმეურნეობებმა განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ მავნებლებისაგან მცენარის დაცვას; გასაშენებელ მსხლის ჯიშებში „ვილიამსის" ხვედრითი წონა 40 პროცენტს აღწევს, კოლმეურნეობებში შეიძლება ფართოდ განვითარდეს აგრეთვე სერჟერმენის და ბერეარდამპონის ჯიშის მსხლები.

რაიონის მთიანი ზონის კოლმეურნეობებში განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს მიჩურინის ჯიშების გაშენებას, რომლებიც ადგილობრივ პირობებს კარგად იწყობიან, ყინვისა და სიცივის ამტანი არიან და მაღალ მოსავალსაც იძლევიან.

დღემდე მცხეთის რაიონში ძალიან სუსტად იყო განვითარებული მშრალი სუბტროპიკული ხეხილი — ნუში, ლეღვი, ბროწეული და სხვ. ეს ჯიშები მცხეთის, ძეგვის, ნიჩბისის, ნატახტარისა და სხვა სასოფლო საბჭოების მიკრორაიონებში კარგად ხარობენ და მაღალ მოსავალს იძლევიან. მაგალითად, ქსოვრისის არასრულმა საშუალო სკოლამ თითო ძირ ნუშზე საშუალოდ 70 კილოგრამამდე ნაყოფი მიიღო, მაშინ როცა ჩვეულებრივად 15-20 კილოგრამი კარგ მოსავლად ითვლება. გეგმა ითვალისწინებს 1941-45 წლების მანძილზე კოლმეურნეობებში გაშენდეს 44 ჰექტარი ნუში, ხოლო კოლმეურნეთა საკარმიდამო ნაკვეთებზე დაირგოს 47.000 ძირი.

პარტიისა და მთავრობის 15 ოქტომბრის დადგენილება ითვალისწინებს დიდი სამუშაოების ჩატარებას წყალთა მეურნეობის დარგში, მაგრამ ხეხილის ახალი ბაღების გაშენება მოგვიხდება ურწყავ მასივებზეც. სანერგეების გაშენების დროს ეს გარემოება მხედველობაში უნდა იქნას მიღებული. ურწყავ ნიადაგზე გასაშენებლად განკუთვნილი მსხლის ნერგები უნდა დაიმყნას ზეყენა საძირეებზე, ატმისა კი — ნუშის საძირეებზე. ეს საძირეები სინესტის მხრივ ნიადაგს ნაკლებ მოთხოვნილებას უყენებენ და შედარებით კარგ მოსავალსაც იძლევიან.

მეხილეობაში სპეციალური ბრიგადების შექმნა, რაც პარტიისა და მთავრობის 15 ოქტომბრის დადგენილებაშია გათვალისწინებული, დიდად შეუწყობს ხელს ხეხილის ფართობისა და მოსავლიანობის შემდგომ გადიდებას.

ამოცანა ის არის, რომ მეხილეობის სპეციალური ბრიგადების მოწყობა კოლმეურნეობებში დავამთავროთ რაც შეიძლება დაჩქარებით და პარტიისა და მთავრობის 15 ოქტომბრის დადგენილების წარმატებით შესრულებით კიდევ უფრო განვამტკიცოთ კოლმეურნეობები, მაღალ საფეხურზე ავიყვანოთ კოლმეურნეთა შეძლებულობა.

ი. სამსონია

მცხეთის რაიმიწგანის მეხილე აგრონომი.

საბრძოლო ამოცანა

ქართლის რაიონების აყვავების სტალინური პროგრამა — სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს და საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მიმდინარე წლის 15 ოქტომბრის დადგენილება გაზეთებში გამოქვეყნებისთანავე ელვის სისწრაფით მოედო ბორჯომის რაიონს. დადგენილების ფართოდ და დაწვრილებით გაცნობისათვის თვითეულ კოლმეურნეობაზე მიმაგრებულ იქნა თითო პასუხისმგებელი მუშაკი. კრებები ჩატარდა რაიონის ყველა კოლმეურნეობაში. კრებებზე კოლმეურნეობებმა და კოლმეურნეებმა აიღეს ახალი კონკრეტული ვალდებულებანი.

ცნობილია, რომ ბორჯომი საკავშირო მნიშვნელობის კურორტია. აქ მოწყობილია 10 სანატორიუმი, 6 დასასვენებელი სახლი, ყოველწლიურად აქ მოჰყავთ საბავშვო კერები 5.000 ბავშვით. სულ კი ყოველწლიურად ორგანიზებულ და არაორგანიზებულ დამსვენებელთა რიცხვი 45.000 სულს აჭარბებს. ამას დაუმატეთ ადგილობრივი მოსახლეობა — კოლმეურნეები (რაიონში სულ 58 კოლმეურნეობაა), მუშები, მოსამსახურეები და სხვ. და ნათელი გახდება, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს რაიონისათვის სოფლის მეურნეობის ისეთი ძვირფასი დარგების განვითარებას, როგორიცაა მეცხოველეობა, მეხილეობა, მებოსტნეობა და სხვ.

გასულ წლებში ბორჯომის რაიონში როგორც მეხილეობას, ისე მეფუტკრეობას, მებოსტნეობას, კარტოფილის, კომბოსტოს და სხვათა გაშენებას შესაფერი ყურადღება არ ექცეოდა. ამავე დროს სტახანოველთა გამოცდილება ამტკიცებს, რომ აქ შეიძლება უზრუნველყოფილ იქნას როგორც მეცხოველეობის მაღალი პროდუქტიულობა, ისე მთელი რიგი კულტურების მაღალი შემოსავალი. სოფ. ტაბაწყურის საქ. კ. პ. (ბ) X ყრილობის სახელობის კოლმეურნეობის ფერმაში თითო საფურაქე ძროხაზე წელს საშუალოდ უკვე მიიღეს 1.538 ლიტრი რძე. სოფ. ტაძრისის ცხაკაიას სახელობის კოლმეურნეობაში კარტოფილი, ნაცვლად სრულიად-საკავშირო სასოფლო - სამეურნეო გამოფენაში მონაწილეობისათვის დაწესებული 100 ცენტნერისა, ჰექტარზე მიღებულია 310 ცენტნერი, სოფ. დვირის კოლმეურნეობა „ლენინის ანდერძში" კი — 216 ცენტნერი. სოფ. ყვიბისის კალინინის სახელობის, სოფ. საკირის ბაქრაძის სახელობის და სხვა მთელ რიგ კოლმეურნეობებში კომბოსტო ჰექტარზე 280 ცენტნერი მიიღეს, პომიდორი — 250, ხახვი და კიტრი — 150 ცენტნერი.

რაიონში მარცვლეულის მოსავალიც მაღალი მიიღეს, სოფ. გომის კოლმეურნეობაში შემოდგომის ხორბალი თვითეულ ჰექტარზე მიღებულია 15 ცენტნერი, სიმინდი კი სოფ. დგვარის კომინტერნის VII კონგრესის სახელობის კოლმეურნეობაში — 25,8 ცენტნერი (დათესილი ჰქონდათ 49 ჰექტარი), ხოლო მეხილეობის საუკეთესო მაჩვენებლებით სოფ. ქობისხევის კოლმეურნეობა წელს სრულიად-საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენაში მონაწილეობდა.

ავიღოთ მეფუტკრეობა. საშუალოდ რაიონში ფუტკრის თითო ოჯახზე თაფლის გამოსავლიანობამ 2 ფუთს მიაღწია, ზოგან კი — 2,5 ფუთს (სოფ. ბალანთა, ტაძრისი, საკირე და სხვ.).

აღნიშნული ფაქტები ნათლად მოწმობენ სოფლის მეურნეობის მაღალი შემოსავლიანობის დიდ შესაძლებლობას ჩვენს რაიონში.

ბორჯომის რაიონის კოლმეურნეები, აღფრთოვანებულნი პარტიისა და მთავრობის 1940 წლის 15 ოქტომბრის დადგენილებით, იღებენ ვალდებულებას 1945 წლისათვის თვითეულ საფურაქე ძროხაზე უზრუნველჰყონ საშუალოდ რაიონში 2.000 ლიტრი რძის მიღება, თავთავიანი მარცვლეული ჰექტარზე მოიყვანონ საშუალოდ 15 ცენტნერი, სიმინდი — 25, კარტოფილი — 130 ცენტნერი და სხვ.

ბორჯომის რაიონს ყველა საშუალება აქვს, რომ 1945 წლისათვის მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის რაოდენობა 8.200 სულიდან აიყვანოს 17.215 სულამდე, (მათ შორის ძროხა 1.240-დან — 4.752 სულამდე). ფუტკრის ოჯახთა რიცხვი (40 სკა) — 8.000-მდე, კარტოფილი, ნაცვლად ახლანდელი 520 ჰექტარისა, მოიყვანოს 700 ჰექტარზე, ბოსტნეულ - ბაღჩეული 80 ჰექტარის ნაცვლად—185 ჰექტარზე. ხეხილი ახლა რაიონში 70 ჰექტარია, ხოლო 1945 წელს იქნება 275 ჰექტარზე მეტი. გაიზრდება აგრეთვე მეღორეობა, მეცხვარეობა, მარცვლეული კულტურების, აგრეთვე სათივისა და საძოვრის ფართობი, სილოსის წარმოება და სხვ.

პარტიისა და მთავრობის დადგენილების საფუძველზე კოლმეურნეობები უკვე ემზადებიან იმისათვის, რომ გააშენონ საუკეთესო ჯიშის ვაშლი, მსხალი, ქლიავი, ატამი, ბალი, ალუბალი, კაკალი, სანაყოფე თუთა. აქ საუკეთესოდ ხარობენ ვაშლის ისეთი ძვირფასი ჯიშები, როგორიცაა: შამპანური რენეტი, ზამთრის ოქროსფერი პარმენი, კანადის რენეტი, ზამთრის ბანანი, კეხურა და სხვ., მსხლების ჯიშებიდან: ბერე-ბოსკი, ვილიამსი, გულაბი, ატმები: ხიდისთაური თეთრი, ხიდისთაური ვარდისფერი, ამსდენი და ალბერტი.

სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს და საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1940 წლის 15 ოქტომბრის დადგენილების ურყევად განხორციელება ჩვენი გადაუდებელი საბრძოლო ამოცანაა. ყველა პარტიული, საბჭოთა და სამიწათმოქმედო ორგანიზაციის, კოლმეურნეობის, პარტიული და არაპარტიული ბოლშევიკის მუშაობა უნდა წარიმართოს იქითკენ, რომ ქართლის რაიონების აყვავების სტალინური პროგრამა სანიმუშოდ იქნას შესრულებული.

ბ. არჩევანიძე

ბორჯომის რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე, საქ. სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი.

საქართველოს მშრომელთა დელეგაციის გამგზავრება უკრაინაში

უკრაინის სსრ მშრომელთა მიწვევით, გუშინ, დღის 4 საათზე, კიევს გაემგზავრა საქართველოს სსრ მშრომელთა დელეგაცია, რომელმაც უნდა შეაჯამოს შედეგები სოციალისტური შეჯიბრებისა ორივე რესპუბლიკის კოლმეურნეობებს, მაღაროებს, თეატრებს, უნივერსიტეტებს, სამეცნიერო ორგანიზაციებს, მტს-ებსა და სხვ. შორის. ამასთანავე საქართველოს დელეგაცია მონაწილეობას მიიღებს უკრაინის ხალხთან ერთად საოქტომბრო ზეიმში.

საქართველოს სსრ მშრომელთა დელეგაციაში შედიან მუშა და კოლმეურნე სტახანოველები, პარტიული მუშაკები, მეცნიერები, ლიტერატურისა და ხელოვნების გამოჩენილი მოღვაწენი. მასში შედიან — ამხ. გ. კიკნაძე — საქართველოს სსრ განათლების სახ. კომისარი, აკადემიკოსი ნ. მუსხელიშვილი, ორდენოსანი პოეტები — ა. მაშაშვილი, გ. ლეონიძე და კ. ლორთქიფანიძე, სსრ კავშირის სახალხო არტისტი ორდენოსანი აკ. ვასაძე, ორგზის ორდენოსანი კინომსახიობი ნატო ვაჩნაძე, ორდენოსანი მსახიობი თ. ჭავჭავაძე, თბილისის ზ. ფალიაშვილის სახ. ოპერისა და ბალეტის თეატრის სოლისტი ორდენოსანი დ. გამრეკელი, თბილისის სტალინის სახელობის სახ. უნივერსიტეტის რექტორი დ. ყიფშიძე, საქართველოს სსრ მიწათმოქმედების სახ. კომისრის მოადგილე კ. ბეჟვაია, თბილისის ორთქლმავალ-ვაგონსარემონტო ქარხნის სტახანოველი კ. ილურიძე, თბილისის მაუდის ფაბრიკის სტახანოველი ა. ლეკიშვილი, ტყიბულქვანახშირის ტრესტის მმართველის მოადგილე შ. ცირეკიძე, ტყიბულის მაღაროების მნგრეველები — ლ. ცქიფურიშვილი და დ. ტრუფანოვი, ამავე მაღაროების მონტიორი მ. ჩხიკვაძე, „საქნავთის" ტრესტის გეოლოგიურ-საძიებელი კანტორის დირექტორი ამხ. ა. კობახიძე, მი[illegible] ზაანის სოფლის გამგის მოადგილე [illegible] ფირანიშვილი, ბორჯომის [illegible] ოსტატი ლ. კაკალაძე, აგრონომი დ. ნიჟარაძე, კოლმეურნეობის თავმჯდომარე ორდენოსანი ა. გოგბაჩაძე (აჭარიდან), საქ. კ. პ. (ბ) მახარაძის რაიკომის მეორე მდივანი ე. ტაკიძე, ნატანების ლ. ბერიას სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე ვ. ჯაბუა, სოფ. შრომის ს. ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე მ. ორაგველიძე, ამავე კოლმეურნეობის სტახანოველი კოლმეურნე ლ. ხაბეიშვილი, ანასეულის ჩაის ინსტიტუტის მეცნიერი მუშაკი ი. ხოშოლავა, ნატანების ბერიას სახელობის სტახანოველი კოლმეურნე გ. ხურციძე, საქ. კ. პ. (ბ) ზუგდიდის რაიკომის მეორე მდივანი დ. ცანავა, მტს-ის დირექტორი ვ. ჩიქავა, კოლმეურნე სტახანოველი ა. ქობალია, ორსანტიის კოლმეურნეობის თავმჯდომარე კ. ერანგია, პირველი მაისის კოლმეურნეობის თავმჯდომარე ა. ჩეჟია, სტახანოველი კოლმეურნე ქიონია სარსანია, უფროსი აგრონომი დ. ნიკოლაიშვილი, კაჭრეთის მტს-ის დირექტორი ა. მეტრეველი, ს. ყანდაურის კოლმეურნეობის თავმჯდომარე ა. ფხალაძე, გურჯაანის მტს-ის ბრიგადირი ო. ვარამაშვილი, ოქტომბრის რევოლუციის სახელობის კოლმეურნეობის მეფრინველეობის ფერმის გამგე ო. ქიტიაშვილი, კარდანახის კოლმეურნეობის ბრიგადირი ლ. ტეტელოშვილი, ს. ხელთუბნის კოლმეურნეობის თავმჯდომარე ი. ჯანიზაშვილი, ბერიას სახელობის კოლმეურნეობის ბრიგადირი ტ. ნონიკაშვილი, აგრონომი ე. ერისთავი, ორდენოსანი პედაგოგი პეტრე კაპანაძე, კოლმეურნე ნოზაძე, პედაგოგები ტ. ქობულაძე, ლ. შალამბერიძე და თოხაძე.

მივცემთ ქვეყანას მაღალხარისხოვან ხილს

ქარელის რაიონის ბრეთის მეურნეობაში ხეხილის 715 ჰექტარი ბაღია. აქ არის საუკეთესო ჯიშის ვაშლი, შამპანური რენეტი, ბანანი, ზამთრის ოქროსფერი პარმენი, ბელფლორი და სხვ.

1945 წელს ჩვენი მეურნეობა სახელმწიფოს 7-8 ათას ტონა საუკეთესო ხარისხის ხილს მისცემს. პარტიისა და მთავრობის 15 ოქტომბრის დადგენილების შესასრულებლად დასახულია ღონისძიებანი ხეხილის ბაღის მოვლისა და მეურნეობის კეთილმოწყობისათვის. 1941-42 წლებში ხეხილის წამლობისათვის ტრაქტორების რიცხვი აყვანილი იქნება 14-მდე თავისი შესაწამლი აპარატით.

მეურნეობის უკეთ კეთილმოწყობის მიზნით 1941-42 წ. აშენდება საცხოვრებელი სახლი 40 ოჯახისათვის. 1941-44 წლებში დამთავრდება ხილის გადამამუშავებელი კომბინატის მშენებლობა, რომლის საპროექტო სიმძლავრე წლიურად 7-8 ათასი ტონა ხილის გადამუშავება იქნება. 1941 წელს გაყვანილი იქნება 15 კილომეტრი მისასვლელი და შიდა კაპიტალური გზები.

საბჭოთა მეურნეობა 1939 და 1940 წლებში სრულიად-საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენაში მონაწილეობდა. აქ ხეხილის ნარგავების შენარჩუნება 98 პროცენტს უდრის. ხეხილის ნორჩი ნარგავებიდან 2 წლის განმავლობაში საშუალო მოსავალი ჰექტარზე მიღებულია 10 ცენტნერი, 2 ტონით მეტი, ვიდრე სასოფლო-სამეურნეო გამოფენაში მონაწილეობის დაწესებული ნორმები ითვალისწინებდა.

მეურნეობამ 1940 წელს 100,5 პროცენტით შეასრულა ხილის ჩაბარების გეგმა. ხილის მაღალი მოსავლით თავი ისახელეს № 17 ბრიგადამ (ბრიგადირი — ს. ბალიაშვილი), რომელმაც ჰექტარზე მიიღო 104,1 ცენტნერი ხილი, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 60 ცენტნერისა, მე-18 ბრიგადამ (ბრიგადირი — ვანო გიგაშვილი) ჰექტარზე 173 ცენტნერი ხილი მიიღო, № 11 ბრიგადამ (ბრიგადირი — პავლე ნასყიდაშვილი) — 349,78 ცენტნერი, მეხუთე აგროუბანმა (აგრონომი — ვალერიან ნაჭყებია) წლიური გეგმა 200 პროცენტით შეასრულა.

სსრ კავშირის სახკომსაბჭოს და საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის 15 ოქტომბრის დადგენილებით გათვალისწინებულ ღონისძიებათა განხორციელება ბრეთის საბჭოთა მეურნეობას გადააქცევს ხეხილის აყვავებულ ბაღნარად.

ბრეთის საბჭოთა მეურნეობის მთელი კოლექტივი წელს მოახდენს ხეხილის ბაღების მავნებლების სრულ ლიკვიდაციას, თვალისჩინივით მოუვლის ხეხილის თვითეულ ნარგავს და ახლო ხანში ქვეყანას მისცემს 10.000 ტონა მაღალხარისხოვან ხილს.

ე. წიქარიძე

ბრეთის საბჭოთა მეურნეობის დირექტორი.

თბილისის რაიონის მახარაძის სახელობის მილიონერი კოლმეურნეობის კულტმუშაკი ამხ. ა. პერონიძე სამშენებლო ბრიგადას უკითხავს სსრ კავშირის სახკომსაბჭოს და საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის დადგენილებას ქართლის რაიონებში სოფლის მეურნეობის შემდგომი აღმავლობის ღონისძიებათა შესახებ. ფოტო რ. აკოფოვისა.

საომარი მოქმედება საბერძნეთსა და იტალიას შორის

საბერძნეთის ტერიტორიაზე მატარებლების გაშვების შეწყვეტა

სოფია, 31 ოქტომბერი (საკდესი). ბულგარეთის რკინიგზების მთავარმა დირექციამ მიიღო საბერძნეთის ხელისუფალთა ოფიციალური ცნობა იმის შესახებ, რომ მათ შესწყვიტეს იმ მატარებლების გაშვება საბერძნეთის ტერიტორიაზე, რომელნიც ბულგარეთსა და სტამბოლს შორის დადიან. ცენტრალური ევროპიდან მომავალი მატარებლები ამიერიდან მხოლოდ სოფიამდე ივლიან.

მდგომარეობა საბერძნეთში

ათენი, 31 ოქტომბერი (საკდესი). გუშინ საბერძნეთის საზღვაო მინისტრმა დაათვალიერა სამხედრო გემები. წარმოთქმულ სიტყვაში მინისტრმა გემების ეკიპაჟებს მოუწოდა იბრძოლონ იტალიის წინააღმდეგ.

საბერძნეთის გაზეთი „კატიმერინი" სწერს, რომ 30 ოქტომბერს ქალაქ პატრის ორჯერ დაუშინეს ყუმბარები. მოკლული და დაჭრილია სულ 250 კაცი. ნავპაქტოსში მოკლულია ერთი და დაჭრილია 8 კაცი.

გაზეთი „პროია" იუწყება, რომ სახელმწიფო უშიშროების სამინისტრომ გამოსცა კატეგორიული ბრძანება, რომლითაც აკრძალულია მაშხალების შენახვა და გამოყენება.

სამხედრო ხელისუფალთა განკარგულებით ყველა უცხოელს აკრძალული აქვს ათენის ქუჩებში გასვლა საღამოს 9 საათის შემდეგ.

საბერძნეთის ტერიტორიული წყლების დანაღმვა

ლონდონი, 31 ოქტომბერი (საკდესი). საზღვაო სამინისტრომ გამოაცხადა, რომ საბერძნეთის ტერიტორიული წყლები დანაღმულია. დასავლეთით დანაღმულია იმ ხაზის აღმოსავლეთით მდებარე მთელი რაიონი, რომელიც გაყვანილია ლეფკასის, კეფალინის, ზაკინფის (იონიის ზღვაში) კუნძულების დასავლეთ სანაპიროსთან და იქიდან კატაკოლონის კონცხამდე, ე.ი. პატრასისა და კორინთოს ყურეები, აგრეთვე მათთან მისასვლელები. საბერძნეთის აღმოსავლეთით დანაღმულია ათენის ყურე სპადისა და კოლონესის კონცხებს შორის არსებული ხაზის ჩრდილოეთით და დასავლეთით. კორინთოს ყურე ღრმად იჭრება საბერძნეთის არქიპელაგში. ამ ყურეს ათენის ყურისაგან ჰყოფს რამდენიმე მილი სიგანის ყელი. ათენის ყურის ძირითადი ნავსადგური — პირეი მომსახურებას უწევს ათენს.

საფრანგეთისა და შვეიცარიის პრესა იტალიის არმიის მოქმედების შესახებ

ვიში, 31 ოქტომბერი (საკდესი). საფრანგეთისა და შვეიცარიის პრესა დიდ ყურადღებას უთმობს იტალიისა და საბერძნეთს შორის დაწყებულ ომს და ახლო მომავალში ეგვიპტეში იტალიის ოპერაციების გაცხოველების შესაძლებლობას.

გაზეთ „პარი სუარის" ცნობილი ფრანგი სამხედრო მიმომხილველი ანრი ბიდუ აცხადებს, რომ მთავარი იერიში, როგორც სჩანს, მიმართული იქნება სალონიკის წინააღმდეგ. სალონიკი 150 კილომეტრით არის დაშორებული ალბანეთის საზღვარს და მას დიდი სტრატეგიული მნიშვნელობა აქვს. ეს არის მსოფლიოში ერთ-ერთი საუკეთესო ნავსადგური, რომელსაც აღმოსავლეთით და დასავლეთით კარგი ბუნებრივი საფარი აქვს მთების სახით. სალონიკი მთელს ეგეოსის ზღვაზე ბატონობს. თუ იტალიელებმა მოახერხეს სალონიკის ხელში ჩაგდება, ისინი ორად გასჭრიან საბერძნეთს და უზრუნველჰყოფენ ამ ქვეყნის მთელი აღმოსავლეთი ნაწილის დაკავებას. იტალიის თვითმფრინავთა სისწრაფე უდრის 400-450 კილომეტრს საათში. ისინი კარგად არიან შეიარაღებულნი. საბერძნეთს კი სულ აქვს 200 თვითმფრინავი, ამასთან მათი ერთი ნაწილი ძველი კონსტრუქციისაა. ბიდუ ფიქრობს, რომ საეჭვოა ინგლისის საჰაერო ძალებმა დიდი დახმარება გაუწიონ საბერძნეთს, რადგან ისინი თვით ინგლისში არიან დაბანდებულნი.

რა საზღვაო ძალების დაპირისპირება შეუძლია საბერძნეთს იტალიისათვის? ამ კითხვაზე პასუხს იძლევა გაზეთი „ტანი", რომელსაც მოჰყავს ცნობები საბერძნეთის ფლოტის შესახებ, რომლის შექმნაში მონაწილეობას იღებდა საფრანგეთი. საბერძნეთის ფლოტის პირად შემადგენლობაში შედის 180 ოფიცერი, 1.100 უნტერ-ოფიცერი და 7 ათასი რიგითი მეომარი. ყველაზე დიდი სამხედრო გემია კრეისერი „გიორგი ავეროვი" 9.500 ტონა წყალწყვისა. იგი აგებულია 28 წლის წინათ და ამ ბოლო დროს მოდერნიზებულ იქნა. გარდა ამისა, საბერძნეთის ფლოტს ჰყავს 10 კარგი ნაღმოსანი, რომელთა ნაწილი შეიარაღებულია გერმანიაში დამზადებული ახალი ქვემეხებით. საბერძნეთს ჰყავს აგრეთვე 6 წყალქვეშა ნავი.

იმ ხმებთან დაკავშირებით, რომ საბერძნეთში ომის დაწყებასთან ერთად გაძლიერდება იტალიის ოპერაციები ეგვიპტეში, შვეიცარიის „გაზეტ დე ლოზანის" ეგვიპტელი კორესპონდენტი შემდეგნაირად აფასებს ინგლისისა და იტალიის სამხედრო შესაძლებლობას ჩრდილოეთ აფრიკაში. იგი აცხადებს, რომ იტალიელებმა შესძლეს ჩრდილოეთ აფრიკაში შექმნათ საიმედო დასაყრდენი პუნქტი ლიბიაში მაშინ, როცა ინგლისელთა პოზიციები ეგვიპტეში უფრო ნაკლებად მტკიცეა. იტალია ახლაც განაგრძობს ლიბიის გამაგრებას და თავს უყრის იქ თავის ჯარს, ითვალისწინებს რა ამ კოლონიის დიდ სტრატეგიულ მნიშვნელობას. ლიბიიდან შეიძლება მოქმედება მრავალი მიმართულებით: ტუნისის, ეგვიპტის, ინგლის-ეგვიპტის სუდანისა და აღმოსავლეთ აფრიკის მიმართულებით. იტალიამ უდიდესი სახსრები მოახმარა ლიბიის გამაგრებას. არავითარი ოპერაცია ეგვიპტის წინააღმდეგ, სწერს გაზეთი, არ იქნებოდა შესაძლებელი, რომ არ ყოფილიყო ის გზა, რომელიც იტალიელებმა გაიყვანეს ლიბიის სანაპიროს გასწვრივ. ამასთან კორესპონდენტი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ინგლისელებსა და იტალიელებს შორის არის უდაბნო, რომლის გადალახვას იტალიელები ვერ ბედავენ.

სოფლის მეურნეობის აღმავლობის სტალინური პროგრამა

სსრ კავშირის სახკომსაბჭოს და საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის 15 ოქტომბრის დადგენილებაში სტალინური სიბრძნით დასახულია უმნიშვნელოვანესი ღონისძიებანი ქართლის რაიონებში სოფლის მეურნეობის შემდგომი აღმავლობისა და აყვავებისათვის.

სოფელ რუისის კოლმეურნეობა „წითელი სხივის" წევრებმა იკისრეს ვალდებულება 1941 წელს ჰექტარზე მოიყვანონ 300 ცენტნერი შაქრის ჭარხალი, 20 ცენტნერი სიმინდი, 13 ცენტნერი ხორბალი, გააშენონ 10 ჰექტარი ხეხილის ბაღი. სოფელ ჭანდრების კოლმეურნეობაში დაადგინეს გაადიდონ პირუტყვის სულადობა კოლმეურნეობის მეცხოველეობის 3 ფერმაში. დადგენილების გაცნობის შემდეგ საკარმიდამო ნაკვეთებზე თუთის ნარგავების გაშენება დაიწყეს კოლმეურნეებმა ქ. ასპანაძემ, ქ. დულარიძემ და ა. ასპანაძემ.

პარტიისა და მთავრობის ყოველდღიური ზრუნვის შედეგად ქარელის რაიონმა, რომელიც ერთი წლის წინათ ჩამოყალიბდა, უდიდესი მიღწევები მოიპოვა. რაიონის 101 კოლმეურნეობაში გაერთიანებულია გლეხურ მეურნეობათა 99 პროცენტი. მომავალ წელს რაიონის კოლმეურნეობებს 27.290 ჰექტარი სახნავ-სათესი მიწა ექნებათ. სოფლის მეურნეობის დარგები ყოველწლიურად განვითარდება. 1945 წლისათვის ხეხილის ბაღები 2.500 ჰექტარს დაიკავებს, ვენახები—1.030 ჰექტარს, კარტოფილი — 800 ჰექტარს.

1941 წლისათვის შაქრის ჭარხლისათვის განკუთვნილია 1.662 ჰექტარი, რაც შემდეგ წლებში აღარ შეიცვლება, სამაგიეროდ შაქრის ჭარხლის მთელი ნათესი გადაყვანილი იქნება სარწყავ მიწებზე. შაქრის ჭარხლის მოსავლიანობას გავადიდებთ საშუალოდ ჰექტარზე 300 ცენტნერამდე. ამის მიღწევა რაიონის ყველა მეჭარხლე კოლმეურნეობას შეუძლია. ამას ამტკიცებს მოწინავე კოლმეურნეობათა მაგალითი: სოფელ ჭანდრების და ქარელის ბერიას სახელობის კოლმეურნეობებმა მიმდინარე წელს ჰექტარზე საშუალოდ 250-300 ცენტნერი შაქრის ჭარხალი მოიყვანეს.

1941 წელს კოლმეურნეობები 1776 ჰექტარზე გააშენებენ ხეხილის ახალ ბაღებს, ბაღჩებს, დათესენ კარტოფილს, მოაწყობენ ხეხილისა და თუთის სანერგეებს.

ქარელის პარტრაიკომი მთელ რიგ ღონისძიებებს ატარებს იმისათვის, რომ ყველა კოლმეურნე დაწვრილებით გაეცნოს სსრ კავშირის სახკომსაბჭოს და საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის 15 ოქტომბრის დადგენილებას. პირველადი პარტორგანიზაციების ღია კრებები ყველგან ტარდება. 15 ოქტომბრის დადგენილებას განსაკუთრებული ინტერესით ეცნობიან რაიონში არსებულ ყველა კოლმეურნეობაში

სოფელ ხეობის კოლმეურნეობაში მარტო ერთი ძროხა ჰყავთ, გეგმით გათვალისწინებული 17 ძროხის ნაცვლად, სოფ. მოხისის კოლმეურნეობას გეგმით გათვალისწინებული 27 ძროხის ნაცვლად 5 ძროხა ჰყავს. სოფ. ველისციხის, აბუხალოს და ქიმაანთკარის კოლმეურნეობებში დღემდე არ შეუქმნიათ მესაქონლეობის ფერმები. 15 ოქტომბრის დადგენილების განხილვისას ამ კოლმეურნეობათა ხელმძღვანელებმა კოლმეურნეთა სამართლიანი საყვედურები მოისმინეს. აღნიშნულ კოლმეურნეობებში ახლა აწყობენ მეცხოველეობის ფერმებს.

მესაქონლეობის ჯიშობრივი შემადგენლობის გაუმჯობესებისა და პროდუქტიულობის ზრდის საქმეში საუკეთესო მიღწევები აქვთ სოფ. ჭანდრების, ზემო-ხვედურეთის, ზღუდერის, დიდი ახალსოფლის კოლმეურნეობების მესაქონლეობის ფერმებს (გამგეები—ამხ. ი. უდიაშვილი, ი. კავსაძე, ალბოროვი და ა. მარღიშვილი).

ამჟამად რაიონის კოლმეურნეობები ზრუნავენ იმისათვის, რომ შემოსავლიანობის კიდევ უფრო გასადიდებლად მოაწყონ დამხმარე მეურნეობა. მაგალითად, აწყობენ მეფუტკრეობისა და მეფრინველეობის ფერმებს. მეაბრეშუმეობის განსავითარებლად კოლმეურნეები თუთის ხეებს რგავენ გზის პირებზე, სკოლების ეზოებში, საკარმიდამო ნაკვეთებზე, სარწყავი არხების გასწვრივ.

ჩვენი რაიონის კოლმეურნეები განსაკუთრებული სიხარულითა და აღტაცებით ეცნობიან დადგენილების იმ ნაწილს, სადაც ლაპარაკია საკოლმეურნეო სოფლის კეთილმოწყობაზე. გაძლიერდა ძამაჰესის მშენებლობის ტემპები. ის მოემსახურება რაიონის ცენტრს და 26 სოფელს. ძამაჰესის მშენებლობაზე კოლმეურნეებმა ძირითადად დაამთავრეს მიწის სამუშაოები; ახლა მიმდინარეობს მთავარი არხის დაბეტონება. მდინარე მტკვარზე და ფრონაზე ხიდების აგებით, რომლებზეც 4.700.000 მანეთი დაიხარჯება, რაიონის ცენტრს დაუკავშირდება 20 სოფელი, ბებნისისა და ბრეთის მეხილეობის საბჭოთა მეურნეობები. რუისის მტს-ის მოწყობის შემდეგ აგარის მტს-ი 26 კოლმეურნეობას გაუწევს მომსახურებას, ქარელისა — 24 კოლმეურნეობას, ხოლო თვით რუისისა — 13 კოლმეურნეობას. ეს ღონისძიება კიდევ უფრო ოპერატიულს გახდის კოლმეურნეობებისადმი მტს-ების ხელმძღვანელობასა და დახმარებას.

ქარელის რაიონის ბოლშევიკებს დიდი მუშაობა მოელით. ქართლის რაიონების აყვავების წინსვლისა და აყვავების სტალინური პროგრამა მოქმედებაშია. ჩვენს რაიონში ახალი ძალით ჩაღდება პარტიულ-პოლიტიკური მუშაობა.

ა. ხუციშვილი

საქ. კ. პ. (ბ) ქარელის რაიკომის მდივანი.

თრეხვის კოლმეურნეთა კრებაზე

ქარელი („კომუნისტის" კორ.). მთის სოფელ თრეხვის კოლმეურნეობაში ამ დღეებში შესდგა საერთო კრება, რომელზეც აღფრთოვანებით განიხილეს სსრ კავშირის სახკომსაბჭოს და საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის 15 ოქტომბრის დადგენილება.

კოლმეურნეობის ბრიგადირმა პ. ქარქუსაშვილმა სთქვა: თრეხვის კოლმეურნეობა ყოველწლიურად მტკიცდება, ჩვენი ცხოვრება საამურია, შარშან ჩვენმა კოლმეურნეობამ უხვი მოსავალი მიიღო. ერთ ჰექტარზე საშუალო 17 ცენტნერი სიმინდი მოვიყვანეთ, ხორბალი კი 86 ფუთი. არანაკლებ მოსავალს ვიღებთ მიმდინარე წელსაც.

— დღეს ჩვენს კრებაზე სასიხარულო ცნობა მოვისმინეთ,—განაცხადა ბრიგადირმა ი. კოზონაშვილმა, — კარგი იქნება ავიღოთ ასეთი ვალდებულება: 1941 წელს თითო ჰექტარზე სიმინდისა და ხორბლის საშუალო მოსავალი 1940 წელთან შედარებით კიდევ უფრო გავზარდოთ. მიმდინარე წლის საშემოდგომო თესვა დავამთავროთ ვადაზე ადრე, ყველა კოლმეურნემ საკარმიდამო ნაკვეთზე გააშენოს 30-30 ძირი ხეხილი—ქლიავი, ნუში და სხვ.

ამხ. კოზონაშვილის წინადადება თრეხვის კოლმეურნეთა კრებამ ერთსულოვნად მოიწონა.

გამგეობას დაევალა მოაწყოს მეცხვარეობის ფერმა, რისთვისაც 15 დღეში შეიძინოს 41 სული ცხვარი; ამას გარდა, მეფუტკრეობის ფერმის შესაქმნელად შეიძინოს 7 ძირი ფუტკარი.

კოლხიდის ახალ მშენებლობაზე

ფოთი, 31 ოქტომბერი (ტელეგრაფით). ჩხოროწყუდან ჩამოვიდა 800 კოლმეურნე, რომლებიც მდინარე ხობის მარჯვენა და მარცხენა მხარის ჯებირებზე მუშაობენ.

ამ დღეებში კოლმეურნეები ჩამოვლენ აგრეთვე გეგეჭკორისა და აბაშის რაიონებიდან.

ა. ნანეიშვილი

თამბაქოს შეტეხის გეგმის შესრულება

ყვარელი (ტელეგრაფით). რაიონმა 31 ოქტომბრისათვის თამბაქოს შეტეხის გეგმა გადაჭარბებით შეასრულა. ნაცვლად 2.700.000 ზონარმეტრისა, შეტეხილია 2.736.266 ზონარმეტრი თამბაქო.

თამბაქოს შეტეხა გრძელდება.

მოწინავე კოლმეურნეობა

მახარაძე. სოფ. განახლების ბუდიონის სახელობის კოლმეურნეობამ წინასაოქტომბრო სოცშეჯიბრებაში გაიმარჯვა. აქ ჩაის კრეფის წლიური გეგმა ვადაზე 17 დღით ადრე 103 პროცენტით შეასრულეს. მოკრეფილი ფოთლის 82 პროცენტი პირველი ხარისხისაა.

მერვე ბრიგადამ, რომელსაც ნ. ზაქარიაძე ხელმძღვანელობს, წლიური გეგმა შეასრულა 110 პროცენტით და ჰექტარზე მიიღო საშუალოდ 2.454 კილოგრამი ჩაი.

შ. ზაქარიაძე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გლეხთა რევოლუციური მოძრაობა გურიაში 1905 წელს

„ნასაკირალი"

35 წლის წინათ, 1905 წლის 20 ოქტომბერს (2 ნოემბერს), გურიაში დაიწყო გლეხთა შეიარაღებული აჯანყება, რომელიც საქართველოს რევოლუციური მოძრაობის ისტორიაში ცნობილია „ნასაკირალის" სახელწოდებით.

საქართველოს პროლეტარიატმა და მშრომელმა გლეხობამ რუსეთის პირველ რევოლუციაში გვიჩვენეს გმირული, თავგანწირული ბრძოლის შესანიშნავი მაგალითები. 1905 წლის რევოლუცია საქართველოსა და ამიერ-კავკასიაში ჩატარდა კავკასიის კავშირის კომიტეტის მეთაურობით, რომლის მთელ მუშაობას ხელმძღვანელობდა და წარმართავდა ამხანაგი სტალინი.

რუსეთის პირველ რევოლუციაში დიდ როლს თამაშობდა გურია, როგორც გლეხთა მოძრაობის მოწინავე მხარე. „საქართველოს მთელ რიგ რაიონებში (ოზურგეთის, ზუგდიდის, სენაკის, გორის, დუშეთის, თბილისის და თელავის მაზრები), განსაკუთრებით გურიაში (ოზურგეთის მაზრა), გლეხთა დიდი შეიარაღებული აჯანყებები ხდებოდა. გლეხთა რევოლუციური კომიტეტები — რევოლუციური გლეხობის შეიარაღებული აჯანყების ორგანოები — ახორციელებდნენ მემამულეთა მიწების ხელში ჩაგდებას, ყოველგვარი გადასახადების გაუქმებას, მემამულეთა, სამღვდელოების და მთავრობის დაწესებულებათა ბოიკოტს" (ლ. ბერია „ამიერ-კავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციების ისტორიის საკითხისათვის", გვ. 54).

გურიაში გლეხთა მასობრივი რევოლუციური მოძრაობა დაიწყო 1902 წლის გაზაფხულიდან. მის მომზადებაში გადამწყვეტი როლი ითამაშეს ბათუმის მუშებმა. ამ დროს გურიის გლეხთა შორის პროპაგანდას ხელმძღვანელობდა ბათუმის კომიტეტი, რომელიც შეიქმნა ამხანაგ სტალინის მეთაურობით.

ბათუმის პროლეტარიატის საერთო გაფიცვებმა და განსაკუთრებით 9 მარტის გრანდიოზულმა პოლიტიკურმა დემონსტრაციამ ამხანაგ სტალინის ხელმძღვანელობით, უდიდესი გავლენა მოახდინა გურულ გლეხობაზე. 9 მარტის დემონსტრაციის შემდეგ მთავრობამ ხელი მიჰყო მუშათა „გადასახლებას" თავთავიანთ სოფლებში. მარტო გურიაში 300-მდე მუშა იქნა „გადასახლებული"; ბათუმის კომიტეტი გურიაში ჰგზავნიდა აგიტატორებს, რომლებიც აარსებდნენ არალეგალურ სოციალ-დემოკრატიულ წრეებს, ავრცელებდნენ არალეგალურ ლიტერატურას.

გლეხთა რევოლუციური მოძრაობა გურიაში გამოიწვია ღრმა სოციალურმა ეკონომიურმა და პოლიტიკურმა მიზეზებმა; ბატონყმობის ნაშთები, მიწის სიმცირე, აუარებელი გადასახადები მძიმე ტვირთად აწვებოდა გურიის გლეხობას. გლეხის შემოსავალი მარტო გადასახადებს ვერ სწვდებოდა. ამას ზედ დაერთო მოუსავლიანობა, რამაც დიდი შიმშილობა გამოიწვია. მეფის მოხელეების თვითნებობამ, პოლიტიკურმა უუფლებობამ და სხვ. გურიის გლეხობა ჩააბა ფართო პოლიტიკური ბრძოლის ფერხულში.

პირველ ხანებში ეს ბრძოლა მემამულეების წინააღმდეგ ბოიკოტის გამოცხადებითა და მასობრივ აგრარული გაფიცვით გამოიხატებოდა, შემდეგ კი მან მიიღო აშკარა პოლიტიკური ბრძოლის ხასიათი თვითმპყრობელობის წინააღმდეგ.

O

9 იანვარს პეტერბურგში მომხდარმა სისხლისღვრამ დასაწყისი მისცა რევოლუციას მთელს რუსეთში. რევოლუციის ქარიშხალი ავარდა გურიაშიც. ბოიკოტი, ყოველგვარი კავშირის გაწყვეტა მემამულეებსა და მთავრობის მოხელეებთან, უარისთქმა ყოველგვარ გადასახადებზე — სწრაფად ტარდებოდა ცხოვრებაში. ხალხი თვითონ შეუდგა თავისი საქმეების მოწესრიგებას.

ლენინის გაზეთი „ვპერიოდი" 1905 წ. თებერვლის ნომერში სწერდა: „გურიაში ოფიციალური ხელისუფლება დაუძლურებულია და ფაქტიურად უგულებელყოფილია. პროვინციას მართავს სახალხო კომიტეტი" („ვპერიოდი" № 8, 1905 წ.).

სასოფლო საზოგადოებათა ყრილობებზე გლეხები თავიანთი წრიდან ირჩევდნენ დეპუტატებს, აღწერდნენ გურიის გლეხთა მოძრაობის მიზეზებს და აყენებდნენ თავიანთ მოთხოვნებს. გურიის გლეხები მოითხოვდნენ: ყველა საუფლისწულო, საეკლესიო, სამონასტრო მიწების კონფისკაციას და მათს გადაცემას მშრომელი გლეხობის განკარგულებაში სრულიად უსასყიდლოდ; გლეხებისათვის ყველა სანადელო მიწების უსასყიდლოდ დაბრუნებას; ყოველგვარი საბატონო, სამღვდელო თუ სახელმწიფო ბეგარის მოსპობას; წოდებათა გაუქმებას და კანონის წინაშე ყველას გათანასწორებას; სიტყვის, კრების, ბეჭდვითი სიტყვის, კავშირის და გაფიცვის თავისუფლებას; პიროვნებისა და ბინის ხელშეუხებლობას; ეკლესიის გამოყოფას სახელმწიფოსაგან; მუდმივი ჯარის გაუქმებას და ხალხის საყოველთაო შეიარაღების შემოღებას. დამფუძნებელი კრების მოწვევას საყოველთაო, თანასწორი, პირდაპირი და ფარული კენჭისყრის საფუძველზე, განურჩევლად სქესისა, ეროვნებისა, სარწმუნოებისა და სხვ.

O

გურიაში მოკალათებული მენშევიკები ცდილობდნენ მასები აეცდინათ შეიარაღებული აჯანყების გზიდან. ამხანაგი სტალინი ივლისის ბოლო რიცხვებში ჩადის გურიაში — შემოქმედში, ჩოხატაურში, შუაფარცხმაში, ხიდისთავში, ბუკისციხეში და სხვა სოფლებში. იქ იგი აწყობს პარტიულ დისკუსიებს, მიტინგებს და საუბრებს გლეხთა შორის და დაუნდობლად ამხელს მენშევიკების მოღალატურ ტაქტიკას.

ამხანაგი სტალინი განუმარტავდა გურიის მშრომელ გლეხობას შეიარაღებული აჯანყების აუცილებლობას თვითმპყრობელობისა და მემამულეთა ბატონობის დასამხობად, მოუწოდებდა შეიარაღებისაკენ, რათა მზად ყოფილიყვნენ რუსეთისა და კავკასიის პროლეტარიატის საერთო გამოსვლის დროს.

O

1905 წლის აგვისტოდან განსაკუთრებული მზადებაა გურიაში შეიარაღებული აჯანყებისათვის. ამ დროს ბათუმში ყველა ქარხნები დაკეტილი იყო. გურია გავსებული იყო ბათუმის ქარხნების მუშებით, რომელნიც ავანგარდულ როლს თამაშობდნენ შეიარაღებული აჯანყების მომზადების საქმეში.

საჭირო იყო რუსეთისა და კავკასიის პროლეტარიატის გამოსვლა, ერთი საერთო სიგნალი და ბრძოლის დაწყებულ ყიჟინს, პროლეტარიატის ძლევამოსილ ხმას გურიის გლეხობის მედგარი ხმაც შეუერთდებოდა. ამ მომენტს, მოუთმენლად ელოდა გურია. ეს მომენტიც დადგა. ოქტომბერში დაიწყო რუსეთის ძლევამოსილი პროლეტარიატის საყოველთაო პოლიტიკური გაფიცვა. ოქტომბრის საყოველთაო გაფიცვამ დიდი გამოხმაურება ჰპოვა გურიაში, მან ფეხზე დააყენა გურიის მშრომელი გლეხობა.

ხალხის მასების შესაიარაღებლად გურიის მებრძოლმა რაზმებმა მთელ რიგ ადგილებში დაიწყეს ბოქაულების, სტრაჟნიკების და მეფის სხვა მსახურთა განიარაღება. პირველ რიგში იერიში მიტანილ იქნა ე. წ. „სტრაჟნიკების პოსტებზე". წითელი რაზმები თავს დაესხნენ სტრაჟნიკების პოსტებს ნატანებში, სუფსაში, ლანჩხუთში და სხვა ადგილებში, განიარაღეს მცველები და ხელთ იგდეს მრავალი შაშხანა, რევოლვერები და სხვა იარაღი.

16 ოქტომბერს ჩოხატაურის გლეხობის შეიარაღებული რაზმი გარს შემოერტყა სტრაჟნიკების პოსტს, წინადადება მისცა ბოქაულს, რომ მთელი იარაღი ხალხისათვის ჩაებარებინა და თვითონ თავისი სტრაჟნიკებიანად გადაკარგულიყო გურიიდან. მოხდა შეტაკება. შედეგად მოკლულ იქნა ერთი სტრაჟნიკი, დაიჭრა ორი. წითელრაზმელებმა გაიტანეს 10 ზერდანის თოფი ვაზნებით, 12 სანადირო თოფი, 2 რევოლვერი და სხვ. მეორე დღეს დააპატიმრეს ბოქაული გაგუა და ორი სტრაჟნიკი.

ოზურგეთის მაზრის უფროსმა ლაზარენკომ ბოქაულისა და სტრაჟნიკების განიარაღება და მათი დაპატიმრება რომ გაიგო, რამდენიმე მოხსენება დასწერა ბათუმისა და ქუთაისის გუბერნატორის სახელზე — გურია აჯანყდა, ჯარი და ტყვიამფრქვევები მოგვაშველეთო. ეს მოხსენებები ხალხს ჩაუვარდა ხელში და ადგილამდის არ მიუღწევია. ლაზარენკოს პატაკებმა უფრო მეტად აღაშფოთა გლეხობა.

18 ოქტომბერს მაზრის უფროსმა 120-მდე ჯარისკაცი და 13 სტრაჟნიკი გაგზავნა ოზურგეთიდან ჩოხატაურისაკენ.

გაიგეს თუ არა ჯარის ჩამოსვლა, ჩოხატაურში ასტყდა ზარების რეკა, მოსახლეობა გაიხიზნა ტყეში. მახლობელ სოფლებში მოწყობილ სასწრაფო მიტინგებზე გადაწყდა შეიარაღებული წინააღმდეგობა გაეწიათ მთავრობის ჯარისათვის. შეარჩიეს მოხერხებული ადგილები ნასაკირალის უღელტეხილზე, რათა შესაფერისად დახვედროდნენ მთავრობის ჯარს, როდესაც იგი ჩოხატაურიდან უკან დაბრუნდებოდა.

გამცემლები — მენშევიკები წინააღუდგნენ მასების მოთხოვნას, ისინი ცდილობდნენ ხალხის რევოლუციური მოქმედების შეჩერებას, წინააღმდეგი იყვნენ შეიარაღებული აჯანყებისა და „ნასაკირალზე" თავდასხმის მოწყობისა. გურიის მშრომელი გლეხები არ გაჰყვნენ მენშევიკების მოწოდებას და იარაღით ხელში შეუდრეკლად გასწიეს „ნასაკირალისაკენ".

წითელმა შეიარაღებულმა რაზმელებმა თავი მოიყარეს ნასაკირალზე. სოფლებიდან დაიძრნენ უიარაღო გლეხებიც. აწყობდნენ ბარიკადებს, ამზადებდნენ თხრილებს. შერჩეულ და განაწილებულ იქნენ მოწინავე მებრძოლები, ყოველი მხრით გაიგზავნენ მზვერავები. ტყეში მოაწყეს ლაზარეთი საექიმო დახმარებისათვის. ორ დღეს მოუთმენლად ელოდნენ გურულები თავიანთი იარაღით მტრის განადგურებას.

მაზრის უფროსი ლაზარენკო 20 ოქტომბერს თავისი ჯარით დაიძრა ჩოხატაურიდან ოზურგეთისაკენ (მას თან მიჰყავდა მომხდარი ამბებით დამფრთხალი ჩოხატაურის ჩინოვნიკებიც.) წითელრაზმელებმა შიკრიკების საშუალებით ადრე შეიტყვეს ჯარის მსვლელობა და მოემზადნენ.

აჯანყებულმა გურულებმა თოფებთან ერთად რამდენჯერმე ბომბიც ისროლეს. ყაზახები მთლად დაიბნენ, კლდეზე დაეშვნენ და მაზრის უფროსთან ერთად მდინარეში გავიდნენ, მოპირდაპირე მთაზე ავიდნენ და ტყეში მიიმალნენ; ბრძოლა გრძელდებოდა მეორე დღესაც. ლაზარენკომ ოზურგეთში გაგზავნა 5 ყაზახი; მან ბატალიონის უფროსისაგან სასწრაფოდ მოითხოვა დამხმარე ძალები. გზაში მათ შეებრძოლნენ წითელრაზმელები, სამი მოჰკლეს, ერთი დასჭრეს, მეხუთემ კი თავს უშველა და ოზურგეთს შეატყობინა მაზრის უფროსის მოთხოვნა.

გმირმა გურულმა მებრძოლებმა იშვიათი სიმამაცე და გამჭრიახობა გამოიჩინეს. მათ ამ ბრძოლაში მხოლოდ ორი დაუჭრეს და ერთი მოუკლეს. მტრის ბანაკიდან კი მოჰკლეს 10 კაცი, დასჭრეს 14 და ტყვედ წაიყვანეს 6.

თავის მოხსენებაში ლაზარენკო აღნიშნავდა; ...„ჩვენ დავათვალიერეთ მთელი ნასაკირალის გადასასვლელი და აღმოჩნდა, რომ აჯანყებულებს საუცხოოდ მოეწყოთ საფრები: მწვერვალზე გაეჩეხათ ტყე... მაგრამ ისე ოსტატურად, რომ გზატკეცილზე შესამჩნევი ყოფილიყო ტყვის დაშენა ყოველი მხრიდან. ჩვენზე თავდასხმას რომ დღისით ჰქონოდა ადგილი, არცერთი ჩვენგანი არ გადარჩებოდა; გარდა ამისა, ყველგან ამოთხრილი იყო პატარ-პატარა თხრილები მსროლელთა დასამალავად, მთავარი პოზიციებიდან დაყოლებული გზატკეცილამდე... როგორც შევკრიბელი ცნობებიდან გამოირკვა, ნასაკირალის თავდასხმაში მონაწილეობას იღებდნენ ყველა საზოგადოების მცხოვრებნი, მაგრამ მთავარ ძალას კი დვაბზუს და ბახვის საზოგადოება შეადგენდა".

21 ოქტომბერს ბატალიონის უფროსის განკარგულებით ოზურგეთიდან დაიძრა პლასტუნების ორი ასეული აჯანყებულთა წინააღმდეგ. სოფ. დვაბზუში მოხდა შეტაკება გლეხებთან. გამხეცებული პლასტუნები გზადაგზა სწვავდნენ და ანადგურებდნენ სახლებს.

„დაწყებული დვაბზუდან ოზურგეთამდე ერთი-ორი სახლი თუ კინკილობს, — სწერს ერთი კორესპონდენტი — თორემ სხვა მთლად გადამწვარია. ხუთი ვერსის მანძილზე გადაუბუგავთ ყაზახებს ათისა და ოცის წლობით შეძენილი ქონება უდანაშაულო მოსახლეობისა... დავთვალე 54 დამწვარი შენობა. გადაუწვავთ სოფლის კანცელარიაც... მელექედურის გზაზე უარესი საქმე ჩაუდენიათ ყაზახებს, გადამწვარი სახლების რიცხვი აქ უფრო მრავალია, მთლად კი 120 მოსახლეა დაზარალებული, ხოლო დამწვარ შენობათა რიცხვი 60-ს აღემატება" („ცნობის ფურცელი" № 2940; 1905 წ.).

ოქტომბრის საყოველთაო გაფიცვის გამო გაზეთები აღარ გამოდიოდა. შეჩერებული იყო სარკინიგზო მიმოსვლა. გურიის აჯანყების შესახებ ცნობები არავის არ ჰქონდა. ამ ხანებში ხალხი მიტინგებზე ეცნობოდა მეფის მიერ 17 ოქტომბერს გამოცემულ მანიფესტს. ეს ცრუ დაპირება ხალხს არავითარ იმედს არ უნერგავდა გულში. ფაქტები სულ სხვას ღაღადებდნენ. გურიის გლეხობის აჯანყების გამო მთელ ქუთაისის გუბერნიაში გამოცხადდა სამხედრო წესები, აჯანყების ჩასაქრობად ქუთაისიდან გაგზავნეს 670 ჯარისკაცი. დაიძრა თუ არა მატარებელი, შეიარაღებულმა გლეხთა რაზმებმა აჰყარეს რელსები, მატარებელი დაიმსხვრა, მოკვდა 9 ჯარისკაცი, დაიჭრა 27. ჯარი ველარ წავიდა გურიაში.

კავკასიის მთავარმართებლის განკარგულებით დაიწყო დიდძალი შეიარაღებული ჯარის მზადება გურიის აჯანყებული გლეხობის წინააღმდეგ.

ალიხანოვის ჯარი დაიძრა თბილისიდან. გურიას განადგურება მოელოდა. ამ ფაქტმა აღაშფოთა მშრომელი მასები. კავკასიის კავშირის კომიტეტმა ენერგიული ზომები მიიღო მთავრობის ვერაგული მოქმედების წინააღმდეგ.

30 ოქტომბერს ქ. ბაქოში, თბილისში, ბათუმში, ფოთში, სამტრედიაში, თელავში და ამიერ-კავკასიის სხვა ქალაქებსა და სოფლებში იმართებოდა მრავალრიცხოვანი საპროტესტო მიტინგები გურიაში შეიარაღებული ძალის გაგზავნის წინააღმდეგ.

ნაძალადევში გამართულ თბილისის მშრომელთა მიტინგზე, რომელსაც 3.000-მდე კაცი ესწრებოდა, წარმოთქმულ იქნა სიტყვები ქართულ, რუსულ, სომხურ და თათრულ ენებზე. რეზოლუციაში ნათქვამია: „წარედგინოს ხელისუფალთ მოთხოვნა, რათა გაწვეულ იქნან ჯარები გურიიდან, გაუქმდეს სამხედრო წესები და თუ ეს მოთხოვნა არ იქნება შესრულებული, იარაღს მოვკიდოთ ხელი მთელ მხარეში"...

(საქ. ც. ს. ს. ფ. № 63; № 16. ფ. 16).

ასეთივე შინაარსის რეზოლუციები იქნა მიღებული სხვა ადგილებშიაც.

კავკასიის მთავარმართებელი იძულებული იყო ორი დღის შემდეგ გაეცა განკარგულება სამხედრო წესების მოხსნისა და გურიის დასარბევად გაგზავნილი ჯარის ჰსვლელობის შეჩერების შესახებ. ამრიგად, კავკასიის კავშირის მეთაურობით, ამიერ-კავკასიისა და საქართველოს პროლეტარიატმა და მშრომელმა გლეხობამ მძლავრი საპროტესტო ხმით დაიხსნეს გურია აკლება-განადგურებისაგან, რასაც მას უპირებდა სისხლიანი ნიკოლოზის მოადგილე კავკასიაში.

აღსანიშნავია, რომ პლასტუნთა ბატალიონიც კი, რომელიც ოზურგეთში იმყოფებოდა, ამ ხანებში გაწვეულ იქნა გურიიდან. მთავრობის მოხელენიც გაიფანტნენ. ხალხი თვითონ გახდა გურიაში თავისი მდგომარეობის ბატონ-პატრონი.

გურიაში ამ დროს შექმნილი იყო სამხედრო-რევოლუციური შტაბი, რომელიც ადგენდა რაზმებს და ადგილებზე ანაწილებდა გურიის მებრძოლ წითელრაზმელებს.

O

დეკემბრის შეიარაღებული აჯანყების დამარცხების შემდეგ, 1906 წლის დამდეგს, თვითმპყრობელობა შეტევაზე გადავიდა. განსაკუთრებით დიდძალი ჯარი და არტილერია იქნა გამოგზავნილი კავკასიაში რევოლუციის სისხლში ჩასახრჩობად. ჯარების უფროსად დაინიშნა ჯალათი ალიხანოვ-ავარსკი. სწვავდნენ და ანადგურებდნენ სადგურებს, სოფლებს, ძარცვავდნენ და აწამებდნენ ხალხს.

გურიის წინააღმდეგაც გაიგზავნა დიდი სამხედრო ძალა. დამსჯელი ექსპედიციის მეთაურად დანიშნულ იქნა პოლკოვნიკი კრილოვი. 10 იანვარს დაიწყეს შეტევა სად. ნატანებიდან, გაძარცვეს სახლები და შემდეგ გადასწვეს. გურიის მშრომელმა გლეხობამ გადასწყვიტა არ დამორჩილებოდა და შებრძოლებოდა მთავრობის ჯარებს. მაგრამ შეიარაღებული მებრძოლი რაზმების ძალა მეტად უმნიშვნელო იყო მრავალათასიანი ჯარისა და არტილერიის წინააღმდეგ.

კრილოვმა გურულებს წარუდგინა შემდეგი მოთხოვნები: 1. ყველა გადასახადების გადახდა. 2. ახალი სასალდათოების მიცემა და გაქცეულების მოყვანა. 3. 4.000 შაშხანის და ყველა იარაღის ჩაბარება. 4. მოძრაობის ყველა მეთაურის გაცემა.

როდესაც ეს მოთხოვნები მოისმინეს, ერთმა გლეხმა წარმოსთქვა: „გურულებს რომ 4.000 შაშხანა გვქონოდა, კრილოვსა და მის ჯარს თავი ტანზე აღარ ექნებოდათო".

იმავე ღამეს ოზურგეთში სახლები გაჩხრიკეს, გაძარცვეს და გადასწვეს, შემდეგ დაარბიეს ნაგომარი, სადაც გადასწვეს 200-ზე მეტი სახლი, ქვედა-აკეთში გადასწვეს 50-მდე სახლი, ცეცხლს მისცეს ბახვი, აცანა, ასკანა და სხვა სოფლები. ხალხი იხიზნებოდა მთებში, ტყეებში. ძარცვა-გლეჯას, სიმხეცეს და ველურობას საზღვარი არა ჰქონდა.

გურიის გლეხობამ თავგანწირული, სახელოვანი ბრძოლით შესანიშნავი ფურცელი ჩასწერა რუსეთის პირველი რევოლუციის ისტორიაში.

დღეს გურული ხალხი, სტალინური კონსტიტუციით გაბრწყინებული, ბედნიერად ცხოვრობს სოციალიზმის ქვეყანაში და საბჭოთა კავშირის მრავალმილიონიან ხალხთან ერთად აქტიურად არის ჩაბმული კომუნიზმის მშენებლობაში.

სოფო ბერიძე

O

ბრძოლა ნასაკირალზე

მხატვ. მაისაშვილის ნახატი.

გაზეთი „ვპერიოდი" რევოლუციური მოძრაობის შესახებ გურიაში

„ოზურგეთის მაზრის (გურიის) გურულებს შორის უკვე დაახლოებით სამი წელიწადია მოქმედებენ თავისი ნაციონალური რევოლუციური კომიტეტები, რომლებიც ილაშქრებენ მემამულეების, სამღვდელოებისა და მთავრობის წინააღმდეგ. მაზრა ამ კომიტეტების სრულ გამგებლობაშია; ისინი ერევიან გლეხის ცხოვრების ყოველ წვრილმანში: არავის არა აქვს უფლება ემსახუროს ვისმე, და დიდი მეურნეობები დაცალიერებულია" (№ 11).

O

„თავისი სიმტკიცითა და შეგნებულობით უმაგალითო მოძრაობა გურიის გლეხებს შორის ერთერთ პირველ ადგილს დაიჭერს კავკასიის პროლეტარული მოძრაობის ისტორიაში. ამჟამად მთელი საქართველო ცხოვრობს გურულების ცხოვრებით, და, ვგონებ, არ არის ერთი კაციც კი, რომელიც ასე თუ ისე გურიის საქმეზე არ მსჯელობდეს. სულ რამდენიმე წლის წინათ პირველმა სოც.-დემოკრატმა შეიტანა მართალი სიტყვა და სოციალიზმის იდეა გურული გლეხის ღარიბულ ქოხში, — და მოძრაობამ, რომელიც გურიაში ამ მოკლე ხნის განმავლობაში შეიქმნა, თვით საქართველოს მამაცი პროლეტარიატის მოძრაობაც კი დაჩრდილა. რაც არ უნდა იყოს, გურიის გლეხთა მოძრაობა იშვიათი მოვლენაა მსოფლიო ისტორიაში: ეს ჩვეულებრივი გლეხთა აჯანყება კი არ არის, არამედ სავსებით შეგნებული პოლიტიკური მოძრაობაა, რომელიც მთლიანად ემხრობა მთელი რუსეთის პროლეტარიატის შეგნებულ მოძრაობას. გურიის გლეხობის მოძრაობა, რა თქმა უნდა, შეუმჩნეველი არ დარჩებოდა მთავრობას, და გურიაში იგზავნება 10.000 კაცისაგან შემდგარი რაზმი მხეც-ადამიანის გენერალ ალიხანოვ - ავარსკის მეთაურობით „მხარის საბოლოო დაშოშმინებისათვის". მაგრამ სამხედრო ძალა ვერ შეაშინებს ბუნებით მეომარ ქართველს,—და აი ჯართან ერთად გურიაში იგზავნება მთავარმართებლის საბჭოს წევრი ბ-ნი სულთან-კრიმ-გირეი გლეხების გამოკითხვის გზით გურულების საჭიროებათა გამოსაკვლევად. სანამ ჯარი სადგურ ნატანებშია დაბანაკებული, ბ-ნი სულთან-კრიმ-გირეი მოგზაურობს გურიაში და აგროვებს ცნობებს გლეხების შესახებ; იგი წარმოსთქვამს მლიქვნელურ სიტყვებს, ელაქუცება გლეხებს, არ იშურებს დაპირებებს. ამის საპასუხოდ გლეხებს კრებებზე გამოაქვთ თავისი მოთხოვნები" (№ 14).

O

„ქართველი გლეხები დიდი ხნის განმავლობაში უწევდნენ წინააღმდეგობას სპარსეთის ხანების ურდოებს, მათთვის ძნელი არ იქნება წინააღმდეგობა გაუწიონ ხან-ნიკოლოზის ურდოებსაც (№ 16).

„საქ. კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსიდან"

გლეხთა ბრძოლამ მემამულეების წინააღმდეგ 1905 წლის შემოდგომაზე ფართო ხასიათი მიიღო. გლეხთა მოძრაობით მოცული იყო მთელი ქვეყნის მაზრათა მესამედზე მეტი. სარატოვის, ტამბოვის, ჩერნიგოვის, თბილისის, ქუთაისის და ზოგიერთ სხვა გუბერნიაში მოდებული იყო ნამდვილი გლეხური აჯანყებები..

...ამ დროს ამხანაგი სტალინი უდიდეს რევოლუციურ მუშაობას ეწეოდა ამიერკავკასიაში. ამხანაგ სტალინი ამხილებდა და ანადგურებდა მენშევიკებს, როგორც რევოლუციისა და შეიარაღებული აჯანყების მოწინააღმდეგეებს. ის მტკიცედ ამზადებდა მუშებს გადამწყვეტი ბრძოლისათვის თვითმპყრობელობის წინააღმდეგ. მეფის მანიფესტის გამოცხადების დღეს თბილისში შემდგარ მიტინგზე ამხანაგი სტალინი ეუბნებოდა მუშებს:

„რა გვესაჭიროება ჩვენ, რომ მართლა გავიმარჯვოთ? ამისათვის გვესაჭიროება სამი რამ: პირველი, ჩვენ გვესაჭიროება შეიარაღება, მეორე—შეიარაღება, მესამე—კიდევ და კიდევ შეიარაღება".

მესამე ყრილობა გურიის ამბების შესახებ

1905 წლის რევოლუციური მოძრაობა მთლიანად ამიერ-კავკასიაში და კერძოდ საქართველოში დიდი წარმატებით მიმდინარეობდა. 1905 წლის მიწურულში რევოლუციური ბრძოლა თვითმპყრობელობის წინააღმდეგ სულ უფროდაუფრო ფართოვდებოდა. ამ ბრძოლაში მონაწილეობას იღებდა მთელი მშრომელი მოსახლეობა.

მუშათა გაფიცვები, დემონსტრაციები, მიტინგები, შეიარაღებული აჯანყებები, სოფლად გლეხთა გამოსვლები თანდათან მასობრივ ხასიათს იღებდნენ. რევოლუციური მოძრაობის ასეთი მძლავრი აზვირთება თავზარს სცემდა მეფის მთავრობის დამქაშებს, საგონებელში აგდებდა მათ. მოზღვავებული რევოლუციის ჩასაქრობად ისინი ყოველ ღონისძიებას ხმარობდნენ, არაჩვეულებრივად გახშირდა დაპატიმრება, გადასახლება, ეგზეკუცია და სხვ. ასეთი რეპრესიების მიუხედავად, რევოლუციური მოძრაობა კვლავ შეუნელებლად ვითარდებოდა. საყოველთაო შეიარაღებულმა აჯანყებამ საქართველოში ოქტომბრის რიცხვებში თავისი განვითარების უმაღლეს წერტილს მიაღწია.

გლეხთა მოძრაობამ საქართველოს მთელ რიგ ქალაქებსა და სოფლებში, განსაკუთრებით კი გურიაში, ყველაზე უფრო მწვავე ხასიათი მიიღო. გურიაში თვითმპყრობელობის საწინააღმდეგო დემონსტრაციები და შეიარაღებული აჯანყებები შესანიშნავად იყო მოწყობილი. ამ ბრძოლას, რომელიც სწარმოებდა არა მარტო საქართველოში, არამედ მთელ ამიერკავკასიაში, ხელმძღვანელობდნენ ბოლშევიკური ორგანიზაციები, რომლებსაც სათავეში ედგა ლენინის ყველაზე ერთგული და თანმიმდევარი თანამებრძოლი ამხანაგი სტალინი.

ის უდიდესი მუშაობა, რომელსაც ამხანაგი სტალინი ეწეოდა ამიერ-კავკასიაში სახალხო რევოლუციის განვითარების საქმეში, მხურვალე მხარდაჭერას და ყურადღებასა პოულობდა ლენინის მხრივ. ლენინი განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდა ამიერ-კავკასიის ამბებს, ვინაიდან იგი ითვალისწინებდა, რომ ამიერ-კავკასიაში რევოლუციური მოძრაობის დამარცხება უდიდეს ზიანს მიაყენებდა რევოლუციური მოძრაობის განვითარებას მთელ რუსეთში.

ლენინმა გაზეთ „ვპერიოდში" მოათავსა წერილები ამიერ-კავკასიაში მომხდარი რევოლუციური ამბების შესახებ. გარდა ამისა, რსდმპ მესამე ყრილობაზე მან სპეციალურად დააყენა რევოლუციის საკითხი ამიერ-კავკასიაში. ეს საკითხი მთელი ყრილობის მსჯელობის საგანი გახდა.

ამ საკითხზე მომხსენებლად გამოვიდა ამხ. მიხა ცხაკაია, რომლის მოხსენებაც ძირითადად გურიის გლეხთა რევოლუციური მოძრაობის ფაქტებზე იყო აგებული.

ლენინმა მესამე ყრილობაზე აღნიშნა, გურია გლეხთა მოძრაობის ყველაზე უფრო მოწინავე მხარეს წარმოადგენსო. ლენინი ამბობდა: „გლეხთა მოძრაობისათვის მხარდაჭერის საკითხი, სისწორით რომ ვთქვათ, იყოფა ორ საკითხად: 1) თეორიული საფუძვლები და 2) პარტიის პრაქტიკული გამოცდილება. უკანასკნელ საკითხზე პასუხს გასცემს მეორე მომხსენებელი, ამხ. ბარსოვი[1]), რომელიც საუცხოოდ იცნობს ყველაზე მოწინავე გლეხურ მოძრაობას — გურიის გლეხთა მოძრაობას."[2])

ყრილობამ მისივე წინადადებით მოუწოდა რუსეთის მუშებს მხარი დაეჭირათ რევოლუციისათვის ამიერ-კავკასიაში.

რეზოლუციაში, რომელიც მიღებული იყო ამ ყრილობის მიერ, ნათქვამია:

„იღებს რა მხედველობაში:

1) რომ კავკასიის სოციალურ-პოლიტიკური ცხოვრების თავისებური პირობები ხელს უწყობდნენ ჩვენი პარტიის ყველაზე უფრო მებრძოლი ორგანიზაციების შექმნას იქ;

2) რომ რევოლუციური მოძრაობა კავკასიის მოსახლეობის უმრავლესობას შორის როგორც ქალაქებში, ისე სოფლებში უკვე მივიდა საყოველთაო-სახალხო აჯანყებამდე თვითმპყრობელობის წინააღმდეგ;

3) რომ თვითმპყრობელური მთავრობა უკვე ჰგზავნის ჯარსა და არტილერიას გურიაში და ამზადებს აჯანყების ყველაზე უმნიშვნელოვანესი კერების უაღრესად დაუნდობელ განადგურებას;

4) რომ თვითმპყრობელობის გამარჯვებას სახალხო აჯანყებაზე კავკასიაში, რასაც აადვილებს იქაური მოსახლეობის უცხოტომური შემადგენლობა, მეტად მავნე შედეგები ექნება აჯანყების წარმატებისათვის მთელ რუსეთში, — რსდმპ III ყრილობა რუსეთის შეგნებული პროლეტარიატის სახელით მხურვალე სალამს უძღვნის კავკასიის გმირ პროლეტარიატსა და გლეხობას და ავალებს პარტიის ცენტრალურ და ადგილობრივ კომიტეტებს მიიღონ უაღრესად ენერგიული ზომები კავკასიაში არსებული საქმის ვითარების შესახებ ცნობების რაც შეიძლება ფართოდ გასავრცელებლად ბროშურების, მიტინგების, მუშათა კრებების, საწრეო საუბრებისა და სხვ. გზით, აგრეთვე კავკასიისათვის დროზე დასახმარებლად მათს განკარგულებაში არსებული ყველა საშუალებით".[3])

ყრილობის ეს გადაწყვეტილება გადაიქცა ამიერ-კავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციების მუშაობის გაშლილ პროგრამად. ამხანაგი სტალინი, რომელიც სათავეში ედგა რევოლუციურ მოძრაობას ამიერ-კავკასიაში, ლენინური შეუპოვრობით იბრძოდა მესამე ყრილობის დადგენილებათა განხორციელებისათვის. კავკასიის კავშირის კომიტეტი, რომელსაც ამხანაგი სტალინი ხელმძღვანელობდა, მოუწოდებდა ფართო მასებს საერთო-სახალხო შეიარაღებული აჯანყებისაკენ ცარიზმის წინააღმდეგ მუშათა კლასის მეთაურობით.

კავკასიის მენშევიკები ცდილობდნენ ყოველგვარი ჭორებით სახელი გაეტეხათ ყრილობის გადაწყვეტილებებისათვის და ჩაეშალათ მათი შესრულება. მაგრამ ამიერ-კავკასიის ბოლშევიკები ამხანაგ სტალინის ხელმძღვანელობით გადამწყვეტ ბრძოლას აწარმოებდნენ მათ წინააღმდეგ. ამხანაგი სტალინი თავის ისტორიულ სტატიაში „მესამე კრება კავკასიელ „უუმცირესობათა" სამსჯავროს წინაშე" ამხელს მენშევიკების ოპორტუნისტულ, გამყიდველ პოლიტიკას, რომელსაც დეზორგანიზაცია შეჰქონდა პარტიულ მუშაობაში. აღნიშნულ სტატიაში ამხანაგი სტალინი მოუწოდებდა მუშათა კლასს და პარტიის ყველა აქტიურ მუშაკს მტკიცედ დარაზმულიყვნენ მესამე ყრილობის მიერ შექმნილი პარტიული ცენტრის გარშემო და გაეწიათ წინ დიადი მიზნების განხორციელებისაკენ, ეწარმოებინათ გააფთრებული ბრძოლა ცარიზმისა და მისი დამქაშების — მენშევიკების წინააღმდეგ.

ამხანაგ სტალინის ეს შესანიშნავი სტატია გადაბეჭდა გაზეთმა „პროლეტარმა", რომელსაც ლენინი რედაქტორობდა. ამ გაზეთმა ამხანაგ სტალინის აღნიშნულ სტატიას ბრწყინვალე შეფასება მისცა. გაზეთი „პროლეტარი" სწერდა: „ვბეჭდავთ რა ამ სტატიას რსდმპ-ის კავკასიის კავშირის ორგანოს „პროლეტარიატის ბრძოლის" № 1-დან, ჩვენი მხრით აღვნიშნავთ, რომ... კავკასიის კავშირმა თავის ორგანოში, მშვიდად და საფუძვლიანად დაარღვია რა მენშევიკების მოსაზრებები, ჩინებულად დაამტკიცა რსდმპ-ის III ყრილობის სრული კანონიერება..."

ბოლშევიკური ორგანიზაციები, რსდმპ მესამე ყრილობის გადაწყვეტილებებით შეიარაღებულნი, ლენინისა და სტალინის მეთაურობით მოუწოდებდნენ და რაზმავდნენ მშრომელ ხალხს თვითმპყრობელობის დასამხობად. გურიის გლეხობამ, ისე როგორც მთელი ამიერ-კავკასიის მშრომელებმა, რომლებსაც ბრძოლებისა და გამარჯვებებისათვის რაზმავდა და აწრთობდა ხალხთა დიდი ბელადი ამხანაგი სტალინი, სახელოვანი ბრძოლებით შესანიშნავი ფურცელი ჩასწერეს რუსეთის პირველი რევოლუციის ისტორიაში. ამ ბრძოლებს უქმად როდი ჩაუვლია, მათ თავისი ნაყოფი მოგვცეს.

დ. შალუტაშვილი.

[1]) ბარსოვი — იყო ამხ. მიხა ცხაკაიას ფსევდონიმი.

[2]) ვ. ი. ლენინი—ტ. VII, გვ. 276.

[3]) იხ. ლენინი და სტალინი, ტ. I საქ. კ. პ. (ბ) პარტგამომცემლობა 1936 წ.

მდგომარეობა გიბრალტარში

ლონდონი, 31 ოქტომბერი (საკდესი). გიბრალტარის სამხედრო-საზღვაო ხელისუფალნი იუწყებიან, რომ 30 ოქტომბერს, დილით, იტალიის საზღვაო ფლოტის ოფიცრებმა სცადეს სპეციალური მექანიზმის საშუალებით მოეხდინათ გემების ტორპედირება გიბრალტარის ნავსადგურში. ერთერთი ტორპედი აფეთქდა, მაგრამ ზიანი არ მიუყენებია, მეორე დაეცა ესპანეთის ტერიტორიაზე ლა ლინეას მახლობლად. ტორპედი არ აფეთქებულა და გუშინდამ საბარგო ავტომობილით გადაიტანეს ალხესირასში.

როგორც რეიტერის სააგენტო იუწყება, გიბრალტარის დაცვა ახლა საგრძნობლად გაძლიერებულია დიდძალი ქვემეხით, რომლითაც იცავენ ყველა მისასვლელს ხმელეთიდან და ზღვიდან.

ინგლისის სასურსათო მომარაგების მინისტრის განცხადება

ლონდონი, 31 ოქტომბერი (საკდესი). ინგლისის სასურსათო მომარაგების მინისტრმა ვულტონმა განაცხადა, რომ შემოდგომის გვალვამ და საკვების ნაკლებობამ შეამცირა წველადობა, რასაც არ შეუძლია გავლენა არ მოახდინოს ზამთარში რძის მომარაგებაზე.

როგორც გაზეთი „დეილი ჰერალდი" იუწყება, „სასურსათო მომარაგების სამინისტრო იხილავს საკვების განაწილების საკითხს, რათა იპოვნოს გამოსავალი ამ თითქმის სახიფათო მდგომარეობიდან".

ხანძარი ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო სამინისტროს შენობაში

ნიუ-იორკი, 31 ოქტომბერი (საკდესი). როგორც ასოშიეიტედ პრესის სააგენტო გადმოგვცემს, ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო სამინისტროს შენობაში გაჩენილი ხანძრის შედეგად დაზიანებულია კავშირგაბმულობის კორპუსის სადგომი, საიდანაც დაშიფრულ დეპეშებს ჰგზავნიდნენ. ხანძარი უმთავრესად მოედო ხარაჩოებს, რომლებიც გაკეთებულია იმის გამო, რომ ახლა ამ შენობაზე მეოთხე სართულის დაშენება სწარმოებს. ქვედა სართულებში წყალი შეიჭრა. არსებული ცნობების თანახმად სამინისტროს უმნიშვნელოვანესი დოკუმენტები წყალშეუვალ კარადებში ინახება.

იუნაიტედ პრესის სააგენტოს გადმოცემით, ამერიკის არმიის შტაბის უფროსმა გენერალმა მარშალმა ბრძანება გასცა მოახდინონ კვლევა-ძიება სამხედრო - სამინისტროს შენობაში ხანძრის არაერთხელ გაჩენასთან დაკავშირებით. ერთ დღეს, მაგალითად, ამ შენობაში ხანძარი რვაჯერ გაჩნდა.

ბარათების მოსალოდნელი შემოღება ბულგარეთში

სოფია, 31 ოქტომბერი (საკდესი). ბულგარეთის ვაჭრობისა და მრეწველობის მინისტრმა ზაგოროვმა პრესის წარმომადგენლებს განუცხადა, რომ ბულგარეთის მთავრობამ გადასწყვიტა ჩაატაროს მოსამზადებელი ღონისძიებანი პირველი მოთხოვნილების პროდუქტების ბარათების შემოსაღებად. სტატისტიკის დირექცია მოახდენს მოსახლეობის სპეციალურ აღწერას, რის საფუძველზედაც დამზადდება და მოსახლეობას დაურიგდება სასურსათო ბარათები. იმ ადგილებში, სადაც მოსახლეობა 5 ათას კაცზე ნაკლებია, ბარათები შემოღებული არ იქნება, ხოლო პროდუქტების განაწილება სიების მიხედვით მოხდება.

ადელკი სერენის დანიშვნა იტალიის ფაშისტური პარტიის მდივნად

რომი, 31 ოქტომბერი (საკდესი). გუშინ იტალიის პრესამ გამოაქვეყნა, რომ იტალიის საზოგადოებრივ სამუშაოთა მინისტრი ადელკი სერენა დაინიშნა იტალიის ფაშისტური პარტიის მდივნად. ადელკი სერენა ფაშისტური პარტიის დეპუტატი იყო პარლამენტში და ეკავა პარტიის მეორე მდივნის პოსტი. 1939 წელს სერენა საზოგადოებრივ სამუშაოთა მინისტრად დაინიშნა.

პარტიის ყოფილი მდივნის ეტორე მუტის გადადგომა იმით აიხსნება, რომ მას სურს მომქმედ არმიაში წასვლა, რაზედაც მუსოლინი დასთანხმდა.

საომარი მოქმედება ჩინეთში

ცენტრალურ ჩინეთში. ჰეძიანის პროვინციაში გააფთრებული ბრძოლის შემდეგ ჩინეთის ჯარმა 29 ოქტომბერს ხელთ იგდო ქალაქი შაოსინი (ხაოჯოს სამხრეთით). ქუჩებში გამართული ბრძოლების დროს მოკლულ იქნა 2 ათასზე მეტი იაპონელი ჯარისკაცი. იაპონიის ჯარის ნაშთები იხევენ ჩრდილოეთ-დასავლეთით, სიაოშანისაკენ. ჩინელები მათ სდევნიან.

სამხრეთ ჩინეთში. გუანდუნის პროვინციაში ჩინეთის ჯარმა დაიწყო შეტევა კანტონის ჩრდილოეთით მდებარე რაიონში. გააფთრებული ბრძოლა სწარმოებს ფაიუნის (კანტონის ჩრდილოეთით 40 კილომეტრზე) და ტაიპინჩანის პუნქტებში (კანტონის ჩრდილოეთ - აღმოსავლეთით 60 კილომეტრზე).

ჩრდილოეთ ჩინეთში. შანსის პროვინციის სამხრეთ - დასავლეთ ნაწილში ჩინეთის ჯარმა დაიწყო ოპერაციები, რათა იაპონიის ჯარისაგან გასწმინდოს ხეძინის რაიონი, რომელიც სტრატეგიული მხრით მნიშვნელოვან რაიონად ითვლება. ხეძინის ირგვლივ ჩინელებმა უკვე დაიკავეს მთელი რიგი პუნქტები, ხოლო თვით ხეძინი გარშემორტყმულია.

31 ოქტომბერი (საკდესი).

მოკლე ცნობები

⊙ შვეციის პარლამენტმა მიიღო მთავრობის კანონპროექტი, რომლის მიხედვითაც თავდაცვის საჭიროებისათვის, კერძოდ, ანგარების, საომარი მასალის საწყობებისა და აეროდრომების ასაშენებლად, გაღებულ იქნება 28 მილიონი კრონი.

⊙ ამერიკის გემმა ლისაბონიდან ნიუ-იორკს მიიტანა 2 მილიონი 700 ათასი დოლარის ოქრო, რომელიც პორტუგალიის ბანკს ეკუთვნის.

⊙ წელს რუმინეთში აღებულია ხორბლის ნორმალური მოსავლის მხოლოდ 20 პროცენტი.

ბალეტი „მთების გული". სურათზე ზევით: მსახიობი ლ. გვარამაძე მანიჟეს როლში და მსახიობი ვ. ლიტვინენკო ჯარჯის როლში, ქვევით „მთების გულის" მეორე მოქმედება.

ბალეტის „მთების გულის" მოკლე შინაარსი

ა. ბალანჩივაძის ბალეტი „მთების გული" დაწერილია გ. ლეონიძის ლიბრეტოს მიხედვით. ბალეტის მოკლე შინაარსი ასეთია:

I მოქმედება

სცენა წარმოადგენს მდელოს, რომელსაც მდინარე ჩამოუდის. უკანა პლანზე ნისლით დაბურული მთებია, რომლებსაც მალე მზე გაანათებს. ქალები კოკებით მოდიან წყაროზე. გამოჩნდება თავად ერისთავის ქალიშვილი მანიჟე. მეგობრები მიეგებებიან მხიარულ მანიჟეს. იწყება ცეკვა.

მანიჟე მარტო ცეკვავს. მის გულს რაღაც იდუმალი სევდა აწუხებს. ცეკვა ტირილით თავდება. მეგობრები ანუგეშებენ თავადის ქალს, მაგრამ მანიჟეს სურს მარტო დარჩეს. გოგონები გადიან.

ნადირობიდან ბრუნდება ჯარჯი. მანიჟე მდინარის პირად ხეს ამოეფარება. ჯარჯი დაიხრება წყლის დასალევად და მდინარეში დაინახავს მანიჟეს გამოხატულებას. ქალ-ვაჟის შეხვედრა. ჯარჯი გაიგებს, რომ მანიჟე თავადის ასულია.

ახალგაზრდები ერთმანეთს ემშვიდობებიან. მანიჟე თავსაფარს გადაუგდებს ჯარჯის და გაიქცევა. ვაჟი სიყვარულით ინახავს მანიჟეს საჩუქარს.

ამ დროს მდელოზე დღესასწაულის ჩასატარებლად თავს იყრიან გლეხები. გაიმართა ცეკვა-თამაში. უცბად შემოიჭრება ერისთავის მოურავი და ხალხს გადასახადს მოსთხოვს. გადასახადის აკრეფისას მოურავი განრისხდება ბერდიაზე, რომელსაც გამოექომაგება ჯარჯი. მოურავი მას მათრახს გადაჰკრავს. ჯარჯი ფეხს ჰკრავს მოურავს და მიიმალება. იწყება ჯარჯის ძებნა. ამ დროს შემოვა ერისთავი ამალით, გაიგებს გლეხების უკმაყოფილებას და უბრძანებს შეიპყრან მეთაურები.

II მოქმედება

ერისთავის სასახლის ეზო. მეგობარი ქალები ცდილობენ მოწყენილი მანიჟეს გამხიარულებას.

შემოდიან გლეხები ბერდიას და ზურაბის მეთაურობით და სთხოვენ ბატონს პატიმრების განთავისუფლებას. თავადის ბრძანებით მოურავი გარეკავს გლეხებს.

თავად ერისთავს ეწვევა თავადი ზაალი. მიართმევს საჩუქრებს და სთხოვს მანიჟეს ცოლად. ერისთავი და მისი ცოლი თანახმა არიან. ზაალი მანიჟეს ბეჭედს გაუკეთებს თითზე, სასიძოს მიიწვევენ სასახლეში.

მანიჟე მარტო დარჩება და მოწყენილი იგონებს საყვარელ ჯარჯის. შემოვა თავადი ზაალი, სურს მიუალერსოს საცოლეს, მაგრამ მანიჟე არ მიიღებს მის ალერსს და ხელიდან გაუსხლტება. გულმოსული ზაალი ბრუნდება სასახლეში.

დაბინდდა. ჩუმად შემოდის მანიჟეს მეგობარი ნათელა და აცნობებს, რომ ძას ელის ჯარჯი. მანიჟე და ნათელა ერთად მიდიან პაემანზე.

III მოქმედება

მონადირე ჯარჯის ბინა მთაში. მოწყენილი ჯარჯი ოცნებობს საყვარელ მანიჟეზე.

გამოჩნდებიან მანიჟე და ნათელა. ჯარჯი მიეგებება. შეყვარებულთა ლირიკული სცენა. ჯარჯი შეამჩნევს მანიჟეს თითზე ბეჭედს. მანიჟე დანიშნულია. სევდა მოიცავს ახალგაზრდა მონადირეს. ქალები გადიან.

შემოდიან ბერდია, ზურაბი და გლეხები, უამბობენ ჯარჯის სასახლეში მომხდარ ამბავს. ჯარჯი თოფის სროლით აგროვებს გლეხებს სოფლიდან და უამბობს ბატონის ამბავს. აღშფოთებული ხალხი ჯარჯის მეთაურობით გასწევს პატიმართა გასათავისუფლებლად.

IV მოქმედება

ერისთავის სასახლე. მდიდრულად მორთული დარბაზი. ქორწილია. მხიარული ხალხი ქეიფობს. სტუმრები ცეკვავენ. უცბად შემოიჭრება გლეხების რაზმი ჯარჯის მეთაურობით. მათ ნეფე-დედოფლისათვის საჩუქარი მოუტანიათ — მოკლული მშველი. თავადის ბრძანებით მოურავი ღვინით ყანწს მიართმევს მეთაურს და მასში იცნობს თავის მტერს ჯარჯის. იწყება შეტაკება. ზაალი ჯარჯის შეუტევს, მაგრამ მის მიერ მოქნეული ხმალი მოხვდება მანიჟეს, რომელიც მკერდით ამოეფარა სატრფოს. ზაალი გარბის. მთიელები მისდევენ. მანიჟე კი კვდება სატრფოს მკლავზე.

ჯარჯი ნაჩუქარ თავსაფარს გადააფენს მანიჟეს, რომლის ცხედარს გლეხები ფრთხილად გაიტანენ სასახლიდან, სასახლე-კი გაუჩინარდება ცეცხლში. გამარჯვებული ხალხი მტკიცე ნაბიჯით მიდის მთებში.

ბალეტი „მთების გული" თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრში

დღეს თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრი პრემიერად დგამს ა. ბალანჩივაძის ბალეტს „მთების გულს". ლიბრეტო ეკუთვნის პოეტ გ. ლეონიძეს. ბალეტი დადგა ს. სერგეევმა, დადგმის ასისტენტები არიან ვ. იევშკინი და ა. ჩიხლაძე. მხატვრული გაფორმება ეკუთვნის ი. გამრეკელს, კოსტუმები—ე. სობესტიანსკის, დირიჟორია ო. დიმიტრიადი.

პირველ შემადგენლობაში მთავარ როლებს ასრულებენ: ლ. გვარამაძე (მანიჟე), ვ. ლიტვინენკო (ჯარჯი), ნ. გორომკო (ერისთავი), ე. საფაროვა (ერისთავის ცოლი), ა. ჩიხლაძე (ზაალი), ო. მაჩაბელი (ნათელა), გ. ბარხუდაროვი (მოურავი), შ. ჩირაძე (ზურაბი), ა. ლუკაშენკო (ბერდია), შ. ბუგიანიშვილი (თამადა), მანიჟეს მეგობარი ქალები—ბულიგინა, ვაშაძე, ცეკვა, ჯონცი, იუდინა, ვოეიკოვა, რომშეპკინა ბროდსკაია, ბალაშოვა და სხვები.

მეორე შემადგენლობაში მონაწილეობენ: მ. კაზინეცი (მანიჟე), ს. გორსკი (ჯარჯი), ვ. იევშკინი (ერისთავი), ნ. ლოლოქიფანიძე (ერისთავის ცოლი), ჯ. ბაგრატიონი (ზაალი), ქ. ნადარეიშვილი (ნათელა), ი. ორჯონიკიძე (ზურაბი), ე. ხანდამოვი (ბერდია), მიროშნიკი (თამადა).

პრემიერა ნაჩვენები იქნება 2 და 3 ნოემბერს.

ი. გოგებაშვილის საღამო

2 ნოემბერს თბილისის მოლოტოვის რაიონის განათლების განყოფილება რაიონის მასწავლებელთა და მშობელთა აქტივისათვის ი. ჭავჭავაძის სახელობის საშუალო სკოლაში აწყობს დიდი პედაგოგისა და საზოგადო მოღვაწის იაკობ გოგებაშვილის დაბადების 100 წლისთავის იუბილესადმი მიძღვნილ საზეიმო სხდომას. იაკობ გოგებაშვილის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ მოხსენებას გააკეთებს ამხ. დ. ლორთქიფანიძე. იაკობ გოგებაშვილის შესახებ მოგონებებით გამოვლენ ნ. ნაკაშიძე და ი. იმედაშვილი.

მხატვრულ განყოფილებაში მონაწილეობას მიიღებენ ი. ჭავჭავაძის სახელობის საშუალო სკოლის მოსწავლეები, ამავე სკოლისა და სომხური სკოლის გუნდები და მე-29 სკოლის ჯაზ-ორკესტრი.

საღამოში მონაწილეობს მისაღებად მოწვეული არიან მსახიობები: დ. ანდღულაძე, ს. ჯაფარიძე და გ. საღარაძე, ვ. გოძიაშვილი, ო. დოლიძე, პ. კობახიძე და ე. სიბილა.

ი. გოგებაშვილის სახელს ღირსეულად ვატარებთ

30 ოქტომბერს თელავის სახელმწიფო სამასწავლებლო ინსტიტუტის დარბაზში თავი მოიყარეს სტუდენტებმა, პროფესორ-მასწავლებლებმა და მუშამოსამსახურეებმა.

ინსტიტუტის დირექტორი დოც. დ. შაფაქიძე გამოვიდა ინფორმაციით იმის შესახებ, რომ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1940 წლის 20 ოქტომბრის ბრძანებულებით თელავის სახელმწიფო სამასწავლებლო ინსტიტუტს მიენიჭა გამოჩენილი ქართველი პედაგოგის **იაკობ სიმონის-ძე გოგებაშვილის** სახელი.

დამსწრენი ამ ცნობას ტაშის გრიალით შეხვდნენ. სიტყვებით გამოსული ამხანაგები (მ. ჩაჩანიძე, ა. მიქაუტაძე, გ. ბერიძე და სხვ.) გამოსთქვამდნენ სურვილს, რომ ინსტიტუტმა ღირსეულად ატაროს დიდი პედაგოგის სახელი.

ალ. გვენცაძე.

საბჭოთა ესტრადის დეკადა

უკვე მეოთხე წელია საბჭოთა კავშირში ტარდება საბჭოთა მუსიკის ტრადიციული დეკადა, რამაც დიდად შეუწყო ხელი საბჭოთა მუსიკის განვითარებას. წელს ხელოვნების საქმეთა საკავშირო კომიტეტის დადგენილებით პირველად ეწყობა საბჭოთა ესტრადის დეკადა.

საბჭოთა ესტრადის დეკადა, რომელიც თბილისში 20 ნოემბრიდან 26 დეკემბრამდე ჩატარდება, მიზნად ისახავს გამოავლინოს საუკეთესო საესტრადო ნაწარმოებები და შემსრულებლები.

საქესტრადაში ამ დღეებში გაიმართა სპეციალური თათბირი, რომელზეც განხილულ იქნა დეკადისათვის მზადების საკითხები და შემუშავდა მთელი რიგი ღონისძიებები:

საქესტრადის დირექციას დაევალა შეარჩიოს არსებული საესტრადო რეპერტუარიდან საუკეთესო ნომრები. საბჭოთა მწერლებისა და კომპოზიტორების კავშირების წინაშე დაისვა საკითხი იმის შესახებ, რომ დახმარება გაუწიონ საქესტრადას ახალი ნომრების შექმნის საქმეში.

საქესტრადამ უნდა შეარჩიოს საუკეთესო შემსრულებელნი, რომლებსაც მიამაგრებს რეჟისორებს, დრამატურგებს და კომპოზიტორებს ნომრების გასაფორმებლად და ახალი ნომრების შესაქმნელად. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს დეკადაზე ესტრადის ახალი კადრების გამოვლინებას და მათთვის შესაფერი რეპერტუარის შექმნას.

საბჭოთა ესტრადის დეკადის დროს საჩვენებელი კონცერტები უნდა მოეწყოს არა მარტო თბილისში, არამედ საქართველოს სხვა მნიშვნელოვან ცენტრებშიც.

საბჭოთა ესტრადის დეკადისათვის მოსამზადებელი მუშაობის ჩასატარებლად, რეპერტუარისა და შემსრულებელთა შესარჩევად საქესტრადის დირექციასთან ჩამოყალიბდა საორგანიზაციო კომისია ხელოვნების საქმეთა სამმართველოს უფროსის მოადგილის ამხ. ლ. ესაკიას თავმჯდომარეობით. კომისიაში შედიან: ლ. კავსაძე, ვ. გოძიაშვილი, გრ. ნუცუბიძე, სატინა, მ. ლორთქიფანიძე, ვ შავერზაშვილი და გ. პატარაია.

მწერალთა კლუბში

დღეს, საღამოს 8 საათზე, საქართველოს მწერალთა კლუბში (მაჩაბლის ქ. № 13) შესდგება აზერბაიჯანელი პოეტის **სულეიმან რუსტამის** ლიტერატურული საღამო.

მუსოფლკორთა კაბინეტში

დღეს, 2 ნოემბერს, საღამოს 8 საათზე „კომუნისტის" რედაქციის მუშსოფლკორთა კაბინეტში (ლენინის ქ. № 28, მე-4 სართული, ოთახი 17) თბილისის მე-20 საშუალო სკოლის კედლის გაზეთების სარედაქციო კოლეგიის წევრებისა და კედელკორების თვის ჩატარდება კონსულტაცია თემაზე:

„სასკოლო კედლის გაზეთების მუშაობის ორგანიზაცია".

(კონსულტანტი ამხ. შ. გვინჩიძე).

პარტკალენდარი

საქ. კ. პ. (ბ) თბილისის ორგ. ორჯონიკიძის რაიკომი აცხადებს, რომ პარტსაკანდიდატო ბარათი № 2550429, გაცემული ექვთიმე დავითის-ძე კუდუხაშვილის სახელზე, დაკარგულია და ჩაითვალოს გაუქმებულად.

საქ. კ. პ. (ბ) გალის რაიკომი აცხადებს, რომ პარტბილეთი № 3729449, გაცემული ვალენ კოსტას-ძე ბუტბაიას სახელზე, დაკარგულია და ჩაითვალოს გაუქმებულად.

საქ. კ. პ. (ბ) თეთრი-წყაროს რაიკომი აცხადებს, რომ პარტსაკანდიდატო ბარათი № 3081896, გაცემული ევგენია დიმიტრის-ასულ შტელმახის სახელზე, დაკარგულია და ჩაითვალოს გაუქმებულად.

საქ. კ. პ. (ბ) მახარაძის რაიკომი აცხადებს, რომ პარტბილეთი № 2851449, გაცემული ისაკი სიმონის-ძე **რუსიეშვილის** სახელზე, დაკარგულია და ჩაითვალოს გაუქმებულად.

სასწავლო ფილმი „საქართველოს ძეგლები"

თბილისის კინოსტუდია „ტფილისი" [illegible] იწყებს სასწავლო ისტორიულ-დოკუმენტური ფილმის „საქართველოს ძეგლები" გადაღებას. გადაღებული იქნება ძველი საქართველოს არქიტექტურის, ფრესკული [illegible] და დავით აღმაშენებლისა და თამარ მეფის პერიოდის (XI-XII ს.) მატერიალური კულტურის ძეგლები.

გადამღები ჯგუფი რეჟისორ ა. გაბუნიას, ოპერატორ ბ. ბურავლევის და რეჟისორ-ასისტენტის, მხატვარ ქ. ლუბახიძის შემადგენლობით ვარძიაში, აწყურსა და თმოგვში გაემგზავრა სანატურო გადაღების ჩასატარებლად. ფილმის რედაქტორია აკადემიკოსი ი. ჯავახიშვილი, კონსულტანტი — პროფესორი ს. ჯანაშია.

კომპოზიტორი პროფესორი კ. მეღვინეთ-უხუცესი ფილმისათვის სწერს მუსიკას.

ჯგუფი გადაღებას დაამთავრებს საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების XX წლისთავისათვის.

(საქდესი).

„საბჭოთა ხელოვნების" ახალი ნომერი

გამოვიდა ჟურნალ „საბჭოთა ხელოვნების" მე-7-8 ნომერი, რომელშიაც მოთავსებულია ი. თავაძის წერილი „ქუთაისის თეატრი" და მთელი რიგი საინტერესო წერილები მსახიობთა აღზრდის (დ. ალექსიძის), მხატვარ ლევიტანის (შ. ალხაზიშვილისა), სათეატრო ჟურნალის „თეატრის" (ს. გერსამიასი), 1939-40 წლის თეატრალური სეზონის შედეგებისა და სხვათა შესახებ.

ჟურნალს დართული აქვს საინტერესო მასალა: საქართველოს თეატრების 1939-40 წლის რეპერტუარი. ასეთი მასალა თეატრმა მომავალ წელსაც უნდა გამოაქვეყნოს, ოღონდ საჭიროა აღინიშნოს, რომელია პრემიერა და რომელი განახლებული დადგმა. წინაალმდეგ შემთხვევაში ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, თითქოს გასულ სეზონში ყოველმა თეატრმა 12-14 პრემიერა გვიჩვენა.

ჭადრაკი

დამთავრდა სრულიად-საქართველოს ქალთა ჩემპიონატი

ფიზკულტურისა და სპორტის საქმეთა თბილისის კომიტეტის ცენტრალურ საჭადრაკო-საშაშო კლუბში დამთავრდა 1940 წლის რესპუბლიკური პირველობის გათამაშება საქართველოს 9 უძლიერეს მოჭადრაკე ქალთა შორის.

საქართველოს სს რესპუბლიკის 1940 წლის ჩემპიონის სახელწოდება მოიპოვა ქსენია ხინკავამ (თბილისი), რომელმაც ყველა 8 შეხვედრა დაუმარცხებლად ჩაატარა და 8 ქულა დააგროვა. მეორე ადგილზე გამოვიდა თბილისელი ვ. ქივოტოვსკაია (5 ქულა).

საქართველოს გასული წლის ჩემპიონმა ვ. ზარგარიანმა (თბილისი), რომელმაც 4.5 ქულა დააგროვა, ე. ივანოვასა (თელავი) და თბილისელი ბერსკაიასთან ერთად მესამე, მეოთხე და მეხუთე ადგილები გაიყო. (საქდესი).

ლექცია

2 ნოემბერს, საღამოს 8 საათსა და 30 წუთზე, საქართველოს მუზეუმის შენობაში (ფურცლაძის ქ. № 1) შესდგება **ამხ. ლიუდვიგოვის** საინსტრუქციო მოხსენება რაიონის მომხსენებლებისა და აგიტატორებისათვის — რუსულ ენაზე. თემა: **„დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის XXIII წლისთავი".**

დღეს თეატრებსა და კინოებში

თეატრებში: **საოპერო** — „მთების გული" (პრემიერა), **რუსთაველის სახელობის** — „გიორგი სააკაძე", **საკულტურის ქართული თეატრი** — „სტუმარმასპინძლობა", **მუსკომედია** — „აყვავებული ბაღი", **მოზარდ მაყურებელთა ქართული თეატრი** — „ქაჯანა" (მე-5 აბ.), **გრიბოედოვის სახელობის** — „ლევ გურიჩ სინიჩკინი".

კინოებში: **რუსთაველის სახ.** — „ასი კაცი და ერთი ქალიშვილი", **ოქტომბერი** — „თოფიანი კაცი", **დამკვრელი** — „ვოლგა-ვოლგა", **კომკავშირელი** — „ჩვენ კრონშტადტიდან ვართ", **ლუქსემბურგის სახ.**—„ცამეტნი", **სპარტაკი** — „ზარე", **26 კომ. სახ.** — „ახალი დროება", **კომინტერნი** — „უმზითვო პატარძალი", **განთიადი** — „დიდი ვალსი", **ვოროშილოვის სახელობის კლუბი** — „არსენა", **წითელი არმიის სახლი** — „სტენკა რაზინი", **ნავთლუღის რკინიგზის კლუბი** — „გამანადგურებლები".

პასუხისმგებელი რედაქტორი
ვ. ხატიაშვილი

თბილისის ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის ლენინის ორდენოსანი სახელმწიფო თეატრი

2 ნოემბერს პრემიერა
მთების გული

3 ნოემბერს
მთების გული

5 ნოემბერს 1 აბ. მე-2 წარმ.
ტრავიატა

დასაწყისი 8 ს. 30 წ.

31 ოქტომბრისათვის აღებული ბილეთები ძალაშია 2 ნოემბრისათვის.

მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო თეატრი
1940-41 წ. წ. სეზონი

2 ნოემბერს
წარმოდგენა არ შესდგება

3 ნოემბერს
ანრი სეარ

დასაწყისი 8 ს. 30 წ.

აბონენტთა საყურადღებოდ ცხადდება, რომ სავალდებულოა მესამე გადასახადის დაფარვა. ვისაც მესამე გადასახადი დაფარული არ ექნება, წარმოდგენაზე არ დაიშვება.

რუსთაველის სახელობის ლენინის ორდენოსანი სახელმწიფო თეატრი
1940-41 წ. წ. სეზონი.

2 ნოემბერს	3 ნოემბერს
გიორგი სააკაძე	**გიორგი სააკაძე**

დასაწყისი 8 ს. 30 წ.

საქართველოს ზოოტექნიკურ-სავეტერინარო ინსტიტუტი
აცხადებს კონკურსს
ორგანიზაციის და ეკონომიკის კათედრის გამგე პროფესორის ან დოცენტის თანამდებობაზე.

კონკურსში მონაწილეობის მისაღებად საჭიროა წარმოდგენილ იქნას:

1. განცხადება ინსტიტუტის დირექტორის სახელზე.
2. კადრების აღრიცხვის პირადი ფურცელი.
3. ავტობიოგრაფია.
4. უმაღლესი სასწავლებლის დამთავრების დიპლომის ასლი სათანადო შემოწმებით.
5. მეცნიერულ ხარისხში—წოდებაში დამტკიცების დოკუმენტი.
6. საქმიანი და პოლიტიკური დახასიათება.
7. მეცნიერული შრომების სია.
8. მეცნიერული შრომები და მათ შესახებ რეცენზიები.

კონკურსის ვადა დღიდან განცხადებისა 7 დღე.

150 **ინსტიტუტის დირექტორი დოც. ნ. მესხი.**

საქ. სატრანსპორტო სისტემაში შემავალ არტელ „სახსარეწტრანსის" დასკვნითი ბალანსი 1940 წ. 1 იანვრისათვის (ათას მანეთებში)

აქტივი

№ № რიგ.	მუხლების დასახელება	თანხა
1	ძირითადი საშუალებანი	85,9
2	ნედლეული და მასალა	0,9
3	მცირეფასიანი და ადვილსაცვეთი ინვენტარი	6,4
4	ფულადი საშუალებანი	20,
5	საშუალებანი ანგარიშსწორებაში	4,2
6	ხარჯები მომავალი ოპერაციების ანგარიშში	7.9
7	განყენებული საშუალებანი	24,2
	ბალანსი...	149,5

პასივი

№ № რიგ.	მუხლების დასახელება	თანხა
1	ფონდები	72,9
2	გრძელვადიანი კრედიტები	11,4
3	ანგარიშსწორება	18.5
4	მოგება	46,7
	ბალანსი...	149,5

მოგებისა და ზარალის ანგარიში

№ № რიგ.	ხარჯები და ზარალი	თანხა
1	ზარალი რეალიზაციით	—
2	სხვადასხვა ხარჯები და ზარალი	—
	სულ	—
	მოგება	46,7
	ბალანსი...	46,7

№ № რიგ.	შემოსავალი და საერთო მოგება	თანხა
1	შემოსავალი რეალიზაციით	37,7
2	სხვადასხვა შემოსავალი	9,
	სულ	46,7
	ზარალი	—
	ბალანსი...	46,7

ბალანსი დამტკიცებულია საბალანსო კომისიის მიერ. ოქმი 20/I-40.

გამგეობის თავმჯდომარე **ი. გამყრელიძე.** მთ. ბუღალტერი **გ. ხოლოდაშვილი.** 1138

მეუღლე ვერა სხირტლაძე-ქანიშვილისა, შვილები ნათელა და გიგი, მარო სხირტლაძე იუწყებიან, რომ 3/XI 1 ს. ვაკის სასაფლაოზე შესდგება
კალისტრატე გერასიმეს-ძე ჭანიშვილის
პანაშვიდი. 8441

და ევა, შვილი ალექსანდრე, რძალი ნადია გულაშვილები იუწყებიან
შაქრო იოსების-ძე მჭედლიშვილის
გარდაცვალებას.

თინა შანშიაშვილი, ნანი კანდელაკი, ჟორა ნადარეიშვილი, ლილი იაშვილი იუწყებიან მეგობრის
თინა გონაშვილის
გარდაცვალებას. 8639

მაია, ოლია, მიშა ცომაიები, ნინო ჩიქოვანისა შვილებით და საშა გუგუშვილისა ქმრით ვალიკოთი იუწყებიან
ანტონ პავლეს-ძე ფაღავას
გარდაცვალებას. 8638

ცოლი ელენე, შვილი ციალა, ცოლისდები ფეფო ცუცქირიძე ქმარშვილით, საშა მინდორაძე ქმარშვილით იუწყებიან
ნიკოლოზ (კოლია) ანტონის-ძე გულიაშვილის
გარდაცვალებას. პანაშვიდი 2/XI 7 ს. დაკრძალვა 3/XI, 3 ს. ფასანაურის ქ., 5, ვაკის სასაფლაოზე. 8652

მშობლები სონა, მიხეილ, ძმები გოგი, მაქსიმე, სოსო, დები ნინო, მარო, რძლები ქსენია, ქრისტინე, მარო იუწყებიან
ანიკო მიხეილის-ასულ მესხის
გარდაცვალებას. დაკრძალვა 2/XI ს. მოხისში. 8657

ბიძა კალისტე, ბიძაშვილები ელისაბედ, ტასო, ბიძაშვილები ნინუცა, ოლია, კუკა, იაშა, ლადიკო, ლელი კერესელიძეები იუწყებიან
მიტუშა (დიმიტრი) საჩინოს-ძე კერესელიძის
გარდაცვალებას. პანაშვიდი 3/XI ლანჩხუთში. 8652

და პარასკევა დგებუაძისა შვილებით პოლიკარპეთი, სუსანათი, ოლიათი, მიშათი და თამარით იუწყება
ანტონ პავლეს-ძე ფაღავას
გარდაცვალებას. გამოსვენება 3/XI 1 ს. კლარა ცეტკინის, 148. 8632

შვილი ნინო, სიძე გრიშა, შვილიშვილები ლილე და ბელიჩქა კილაძეები იუწყებიან
ზაქარია იოსების-ძე მჭედლიშვილის
გარდაცვალებას. გამოსვენება 3/XI 1 ს. ლენინის ქუჩა, მეორე შესახ. 2. 8635

ბიძები ისიდორე ჩიკვაძე, ლადიკო, აკაკი ბერიშვილები, ბიცოლები ლიდა, მერი შვილებით იუწყებიან პატარა
ზურიკო დუმბაძის
გარდაცვალებას. პანაშვიდი 2/XI 8 ს. გამოსვენება 3/XI 1 ს. ფალიაშვილის ქ. 9, ვაკის სასაფლაოზე. 8630

სანდრო ელიაძე ოჯახობით იუწყება
ბარბარე ცხომელიძე-ელიაძის
გარდაცვალებას. დაკრძალვა 3/XI, 3 ს. გამოსვენება ელბაქიძის დაღმართი, 5. ვაკის სასაფლაოზე.

დედა ეკატერინე ძიძე, დები მარიამ, ალექსანდრა, ნინო, სიძე რომან ფიცხელაური და დისწულები იუწყებიან, რომ 3/XI 1 ს. ვერის ძველ სასაფლაოზე დანიშნულია
ბარბარე ფარულავას
სამოქალაქო პანაშვიდი. 8643

დეიდა ევდოკია, დეიდაშვილი მარიამ ლაფაჩი შვილებით ლამარათი და ლენდათი იუწყებიან ექიმ
ვასიკო კიბარიძის
გარდაცვალებას. 8618

მეუღლე სამსონ გელოვანი, დეიდა კატო კონსტანტინეს-ასული ბაქრაძისა იუწყებიან, რომ 3/XI 4 ს. ვაკის სასაფლაოზე დანიშნულია
მარიამ სიმონის-ასულ გელოვანის
პანაშვიდი. 8642

დედა მატრონა, ძმა გრიგოლ ცოლშვილით, და ელენე ქმარშვილით იუწყებიან
აკაკი ზაქარიას-ძე მაღრაძის
გარდაცვალებას. პანაშვიდი 2/XI 7 ს. გამოსვენება 3/XI 4 ს. ნავთლუღის რკინიგზის ბინა, 15, პეტრეპაველის სასაფლაოზე. 8636

მეუღლე ნინო, შვილები შუშანა, მარო, ელენე, ანიჩკა, სიძე არამ, შვილიშვილები ლადო, ლიანა იუწყებიან
ესტატე აბზაროვის
გარდაცვალებას. პანაშვიდი 2/XI 7 ს. გამოსვენება 3/XI 3 ს. გაბაშვილის, 2. 8628

მეუღლე ოლია შენგელია იუწყება, რომ 3/XI, 1 ს. ვაკის სასაფლაოზე დანიშნულია
სპირიდონ ანტონის-ძე შენგელიას
სამოქალაქო პანაშვიდი. 8637

ღლონტი, ქორჩილავა, მგალობლიშვილი, გუდაძე ოჯახებით იუწყებიან, რომ 3/XI 2 ს. კუკიის სასაფლაოზე დანიშნულია
თომა ექვთიმეს-ძე ბოცვაძის
პანაშვიდი. 8658

ქმარი ატემი, შვილები ჟორა, მარო, მაზლი ნესტორ შვილებით იუწყებიან
პელო თამაზის-ასულ მაისურაძის
გარდაცვალებას. პანაშვიდი 2/XI 7 ს. გამოსვენება 3/XI 4 ს. ოქროყანის, 11, კუკიის სასაფლაოზე. 8659

ვერა მაჭარაძე, თამარ ხუციშვილი, მარო ბერუჩაშვილი, კოლია კაჭახიძე, ნადია ჯანბერაშვილი, ეუგენია ხოხობაშვილი, შურა ლეჟავა იუწყებიან ლენას მამის
ესტატე აბზაროვის
გარდაცვალებას. 8644

შვილები ვასასი, აგრაფინა, სიძეები სილიბისტრო და ვანო, შვილიშვილები შალიკო, თამარ, ლოლა, ლერი, ნელი იუწყებიან
ვასილ გერასიმეს-ძე ჩიხლაძის
გარდაცვალებას. 8645

ცოლი ნატალია, შვილები ნინო, ელენე, ქეთო, თამარ, ალექსანდრე ცოლით ეთერით იუწყებიან
გიორგი სოსანის-ძე ვარდიაშვილის
გარდაცვალებას. დაკრძალვა 2/XI 1 ს. ანაგაში. 8647

რძალი ნინო, შვილები ოლია, პარმენ, მარო, შვილიშვილები რემა, აბესალომ, ჟულიეტა, ნანა, დათუნა იუწყებიან დედის და ბების
დესპინე დავითის-ასულ ღვამიჩავას
გარდაცვალებას. პანაშვიდი 2/XI 8 ს. 150

დედა მარო, ძმები მიშა, საშა, პლატონ, რძლები ფანია, თამარ, მარო და ძმისწულები იუწყებიან
თინა დიმიტრის-ასულ გონაშვილის
გარდაცვალებას. პანაშვიდი 2/XI 7½ ს. გამოსვენება 3/XI 5 ს. კალინინის, 22. 8648

მშობლები ეფროსინე, ექვთიმე, ძმები ლავრენტი, ანგიოზ, დომინი, სიდედრი სალომე, ცოლისდები მარო, ცუცა კოხრეიძეები იუწყებიან, რომ 3/XI 2 ს. კუკიის სასაფლაოზე დანიშნულია
თომა ბოცვაძის
პანაშვიდი. 8656

რედაქციისა და გამომცემლობის მისამართი: თბილისი, ლენინის ქუჩა № 28. ტელეფონები: პასუხისმგებელი მდივნის—3—08—67; პ.-მგ. მდივნის მოადგილისა—3—06—88; განყოფილებებისა: პარტიულის—3—57—61, პროპაგანდის 3—81—84, სასოფლო - სამეურნეოს — 3—73—40, ეკონომიურისა და განათლება-ჯანმრთელობის — 3—80—83, ლიტერატურისა და ხელოვნების და ინფორმაციის— 3—80—84, წერილების — 3—73—24, პ.-მგ. მორიგისა და გამომცემლობის 3—81—65, გამომცემლობის—51—81, სტამბის დირექტორის—3—77—70. ხელნაწერები ავტორებს არ უბრუნდებათ.

ლ. პ. ბერიას სახელობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი", თბილისი, ლენინის ქ. № 28. უე 3451